MES 8 21 0000644268

29/06/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 15.06.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:05 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
16. ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	დავით მახვილაძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II
2	ნანული დანელია		ავტორიზაციის და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	I, II
3	ოთარ გელაშვილი		სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი	I
4	ნათია ბუთხუზი		სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის	I

		სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
5	რეზო თედორაძე		„ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
6	გიორგი დობორჯგინიძე		ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი	I
7	ზურაბ შენგელია		ასოცირებული პროფესორი	I
8	ლილი პეტრიაშვილი		პროფესორი	I
9	ანზორ აბშილავა		სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	II
10	შალვა კელეპტრიშვილი		სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
11	ირაკლი გუჯაბიძე		სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი	II
12	დავით კუპატაძე		„სამთო და გეოინჟინერია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
13	ნინო დობორჯგინიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორის მოადგილე სწავლების და კვლევის მიმართულებით, პროფესორი	III, IV, V
14	დავით თარხნიშვილი		საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	III, IV, V
15	ქეთევან ლაკირბაია		ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	III, IV, V
16	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III, IV, V, VI
17	ნათია კოპალიანი		პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV, V
18	დიმიტრი ჯაფარიძე		ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	VI
19	ერეკლე მაღრაძე		პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	VI
20	ვახტანგ ბალავაძე		ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	VI

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	თეიმურაზ კოჩაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ბაქარ დუაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო დონდოლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ზურაბ მეგრელიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	კახა ქოიავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	თათია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ციცინო თურქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV, V
10	ინგა დიასამიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV, V
11	ნინო ლომთათიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV, V
12	მარიამ ლობჯანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV, V
13	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ლოგისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.09.2012, გადაწყვეტილება №468
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული, 0719
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. №68, ქ. თბილისი, სასწავლო კორპუსი №1, 0175, საქართველო
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადეს ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და დავით კაპანაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თეიმურაზ კოჩაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ საქართველოში ლოგისტიკის დარგის განვითარების ერთ-ერთ ძირეულ ფაქტორს განათლებისა და კომპეტენციების სრულყოფა წარმოადგენს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ბოლო პერიოდში შემუშავებულ საქართველოს 2021-2030 წლების ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგიის სახელმძღვანელო დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ აღნიშნულ სფეროში ერთ-ერთი მთავარი მიზანი ადამიანური კაპიტალის განვითარებაა, რაც გულისხმობს სატრანსპორტო დარგებისა და ლოგისტიკის მიმართულების სწავლების აქტუალიზაციასა და ხარისხის ამაღლებას, ქვეყანაში ლოგისტიკური სტანდარტებისა და განათლების დონის საერთაშორისო დონემდე გაზრდას დიდი დრო სჭირდება, საშუალოდ 10-15 წელი, ვიდრე ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარებას, აქედან გამომდინარე საჭიროა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ქვეყანაში, ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული ამოცანის წარმატებით გადაჭრაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში მოქმედ „ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც განსახილველად არის წარდგენილი.
მისი თქმით, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის შეფასების პროცესი განხორციელდა 2021 წლის 12-13 აპრილს ონლაინ რეჟიმში „Zoom“- ის პლატფორმის გამოყენებით. 12 აპრილს „Zoom“- ის პლატფორმის გამოყენებით, 10:00 საათიდან დაიწყო დისტანციური სამუშაო შეხვედრა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის შესაბამისად, შედგა შეხვედრა-გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ასევე თვითშეფასების ჯგუფთან, საგანმანათლებლო პროგრამის

ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა და გადაიხედა სტუდენტების პრაქტიკის ანგარიშები და სამაგისტრო ნაშრომები. 13 აპრილს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების საბიბლიოთეკო ფონდი, პროგრამის სილაბუსების ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და ნაბეჭდი სახით. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა საშუალება ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს მოკლედ გააცნო ჯგუფის ძირითადი მიგნებები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას შესაბამისი დოკუმენტაციისა და ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუების საფუძვლეზე ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. კერძოდ:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 1.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც მოთხოვნებთან შესაბამისი, 1.2 კომპონენტი აგრეთვე შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 2.1, 2,4, 2.5, 2.6. კომპონენტი შესაბამისობაშია, ხოლო 2.2 და 2.3 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1 და 3.2 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან 4.1; 4.2; 4.3 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან 5.1 და 5.2 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 5.3 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მან განაცხადა, რომ პროგრამა კონკურენტუნარიანია, დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომელთა უმეტესი ნაწილი პროფილის მიხედვით არის დასაქმებული, პროგრამა ორიენტირებულია შემდგომ განვითარებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია დაზუსტდეს როგორ, სად არის გამოყენებული მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად;
2. საჭიროა დაზუსტდეს ზოგიერთი სილაბუსის დასათაურების და შინაარსის შესაბამისობა და გამოირიცხოს შესასწავლი თემების თანხვედრა;
3. უმჯობესი იქნება შეიცვალოს კურსების „დისტრიბუცია და საწყობის მენეჯმენტი“ და „მიწოდებათა ჯაჭვის მენეჯმენტი“ შესწავლის რიგითობა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დავით მახვილაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს

კვალიფიციური შეფასებისთვის და პროგრამაზე სასაუბროდ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ნათია ბუთხუზს, რომელიც ამავდროულად პროგრამის ხელმძღვანელიც გახლდათ რეზო თედორძესთან ერთად.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ნათია ბუთხუზი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულებამ დააფიქსირა პასუხი არგუმენტირებულ პოზიციაში, სადაც აღნიშნულია, რომ რეკომენდაციების ნაწილი გაიზიარეს, მაგ., მესამე რეკომენდაცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ უმჯობესია შეიცვალოს კურსების „დისტრიბუცია და საწყობის მენეჯმენტი“ და „მიწოდებათა ჯაჭვის მენეჯმენტი“ შესწავლის რიგითობა, ანუ გადაადგილებულიყო სასწავლო გეგმაში მოცემული კურსები, დაწესებულებამ განიხილა აღნიშნული საკითხი ყველა რეკომენდაციასთან ერთად და სილაბუსის ავტორთან შეთანხმებით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ „მიწოდებათა ჯაჭვის მენეჯმენტში“ უფრო გლობალურად არის წარდგენილი ის საკითხები, რომელიც „დისტრიბუცია და საწყობის მენეჯმენტში“ დასაბუთებულია, ამიტომ მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ ჯერ მომხდარიყო „მიწოდებათა ჯაჭვის მენეჯმენტში“ შესწავლა და შემდეგ ყოფილიყო „დისტრიბუცია და საწყობის მენეჯმენტზე“.
რეკომენდაციის შესახებ, რომელის თანახმადაც სასურველი იყო პრაქტიკის წინა პირობად განსაზღვრულიყო ყველა სასწავლო კურსი მან განაცხადა, რომ შეუძლებელი იყო აღნიშნულის განხორციელება, რადგან საკვალიფიკაციო ნაშრომი არის ბოლო სემესტრში, რომელსაც მთლიანად ეთმობა 30 კრედიტი, პრაქტიკა კი წინ უსწრებს მას და შესაბამისად ვერ მოხდებოდა ყველა სასწავლო კურსის წინაპირობებში ასახვა.
რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობდა დაწესებულებას მიეწოდებინა ინფორმაცია პროგრამის განვითარების პროცესში რა თავისებურებები გაითვალისწინეს და როგორ ხდებოდა ხარისხობრივად აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება, მან განმარტა, რომ პროგრამა საკმაოდ მოთხოვნადია შრომის ბაზარზე, შემუშავებულია უცხოური უნივერსიტეტის პრაქტიკის გათვალისწინებით, აქვთ საერთაშორისო ურთიერთობები, გაცვლითი პროექტები, მობილობა და ა.შ. მუდმივად ზრუნავენ პროგრამის გაუმჯობესებასა და სრულყოფაზე, მუდმივად უწევთ სტუდენტების შეფასების შედარება, მათი შედეგების შედარება სასწავლო კურსის შინაარსთან, მის სიძლიერესთან, მუდმივად უწევთ ახალ ლიტერატურაზე ზრუნვა, რათა მოერგონ მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება უშუალოდ საერთაშორისო გამოცდილებას, რათა მათი სტუდენტები სრულყოფილი ცოდნით გაგზავნონ, იმ მობილობის ფარგლებში, რომელიც უკავშირდება მეორე და მეოთხე სემესტრში მათ გამგზავრებას გერმანულ და იტალიურ უნივერსიტეტებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან განაცხადა, რომ ინსტიტუციამ ითხოვა რეკომენდაციის რეფორმულირება, სასწავლო პრაქტიკის წინაპირობასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრი დაეთანხმა ინსტიტუციის მოთხოვნას, რადგან შეუძლებელია ყველა სასწავლო კურსი იყოს გავლილი, რადგან დამამთავრებელი სემესტრის სასწავლო კურსების გავლა ვერ იქნება შესაძლებელი. მან სთხოვა ექსპერტებს გაერკვიათ საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრი არის პროგრამა, რომელსაც არ უნდა ჰქონდეს სერიოზული კვეთა და არ უნდა ფიგურირებდეს არც მიზანში და არც სხვაგან საკითხები, რომლებიც ეხება მენეჯმენტს. მისი მოსაზრებით ექსპერტებიც მიაქცევდნენ ყურადღებას, რომ ერთ-ერთ სამაგისტრო ნაშრომში მისანიჭებელ კვალიფიკაციად ეწერა 0407, დაინტერესდა ეს თუ ნახა ექსპერტთა ჯგუფმა, რატომ არ ჰქონდათ რეაქცია, რადგან ეს არის სრული აცდენა კლასიფიკატორთან, თუ არ უნახავთ რატო არ ნახეს. სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა რომ ეს არის ცალკე საკითხი, რადგან დასკვნები საკმაოდ სუსტია,

გამოყენებულ ლიტერატურაში ზოგან მხოლოდ 5 წყაროა მითითებული, ზოგან კი „ვიკიპედია“ ფიგურირებს, თუმცა ამაზე არ არის შენიშვნა/რეკომენდაციები გაცემული და ამაზეც საჭიროა განმარტება.
შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ იგი ეჭვის ქვეშ არ დააყენებს პროფესიის მოთხოვნადობას, მაგრამ ჩატარებულია 7 ინტერვიუ და პირველი კითხვა აზრს მოკლებულია, დაწესებულებამ მოიყვანა ლოგისტიკური კომპანიის წარმომადგენლები და ეკითხება აქვს თუ არა ლოგისტიკას მნიშვნელობა, საინტერესოა რა პასუხს ელოდებოდნენ, შესაბამისად კითხვარის შესახებ ინფორმაცია დასაზუსტებელია, გადასამუშავებელია კითხვარი და ჩასატარებელია შრომის ბაზრის კვლევა, რომ მსგავსი შეცდომები არ იყოს დაშვებული.
ბიუჯეტთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამის ბიუჯეტი უკეთესია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სხვა ბიუჯეტებთან შედარებით, რადგან 10 სვეტში მაინც იყო გაწერილი, მაგრამ მეათე სვეტში დაწესებულებას გაწერილი აქვს სახსრები პროგრამის განვითარებისთვის 3209 ლარი, მისი მოსაზრებით თუ საუბარია სამაგისტრო კვლევებზე აღნიშნული თანხა აბსოლუტურად არ იქნება საკმარისი და რელევანტური, რათა დახმარება აღმოუჩინონ მაგისტრებს, თუ სხვა თანხებია და სხვა წყაროდან ხდება დაფინანსება, აღნიშნულ საკითხი დეტალურად უნდა იქნას განხილული, სად არის თანხები და რომელ ბიუჯეტში დევს და არა უბრალოდ გაიწეროს, რომ ცენტრალური ბიუჯეტი ითვალისწინებს, საინტერესოა კონკრეტულად რომელ მუხლში წერია და იმის გაშიფვრაში კონკრეტულად ფაკულტეტი რომ არის მითითებული, რადგან ბევრმა ფაკულტეტმა განაცხადა რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან ხორციელდება მათი დაფინანსება, საბჭო კი ვალდებულია იცოდეს, ცენტრალური ბიუჯეტი რომელ ფაკულტეტს აფინანსებს და რომელს არა. საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა კოდზე - 0407-ზე და აღნიშნა, რომ საჭიროა სერიოზული არგუმენტების მოსმენა, ეს იყო შეცდომა, ტექნიკური ხარვეზი თუ ახლა ანიჭებენ 0407-ს კვალიფიკაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, მაკა კაჭარავას.
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან განაცხადა, რომ ხედავდა წინა პროგრამების ანალოგს სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, კვლავ არ ჰქონდათ სამეცნიერო წერის სტანდარტები და კვლევის მეთოდები სავალდებულო საგნებში, შესაძლებელია, საბჭოს წევრის გიორგი ღაღანიძის მიერ ნათქვამი ზუსტად აქედან იყოს გამოწვეული შინაარსობრივი და აგებულებითი სისუსტე და არა ძლიერი მხარე, მან მოუწოდა ინსტიტუციის წამომადგენლებს დაფიქრებულიყვნენ, აღნიშნული საგნების მნიშვნელობაზე, რათა მაგისტრანტები მოამზადონ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისათვის. იგი დაინტერესდა პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებით თუ რატომ არ იყო აღნიშნული საგნები პროგრამაში გაწერილი.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ნიკა თიკანაშვილს.
საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან განაცხადა, რომ დასაქმება მაღალია, რადგან ლოგისტიკა ზოგადად პრიორიტეტულია სატრანსპორტო ერთიან სივრცეში და ქვეყნისთვისაც მნიშვნელოვანი მიმართულებაა. დასაქმების მაჩვენებელიც მაღალია, დაახლოებით 70%-ზე მეტი საკუთარი პროფესიითაა დასაქმებული. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა კომპანიებში არიან ისინი დასაქმებულნი, რა ფუნქციებს ასრულებენ აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ და რამდენად სთავაზობს პროგრამა პრაქტიკას შესაბამის ორგანიზაციებში, რომლებიც დაკავებული არიან სატრანსპორტო ლოგისტიკის საკითხებით. პრაქტიკის სილაბუსთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური საკითხია, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს დასახელებას, სათაურში საწარმოო პრაქტიკა ლოგისტიკა, ინგლისურში ნათარგმნია, როგორც „internship“, რაც გასასწორებელია, მონიშნულია დოქტორანტურის საფეხური, უნდა იყოს - მაგისტრატურა. საბჭოს წევრი ასევე, დაინტერესდა წინაპირობებთან დაკავშირებულ საკითხზე, შესაძლებელია ყველა სასწავლო კურსი ვერ მიეთითოს წინაპირობაში, რაც პროგრამის აგებაზეა დამოკიდებული, თუმცა რამდენად არის

„დისტრიბუცია და საწყობის მენეჯმენტზე“, მხოლოდ ერთი სასწავლო კურსი პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობა, როდესაც სწავლის შედეგი არის მიღებული ცოდნის გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით და ჩამოთვლილია: საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ტელემატიკის საკითხები, სატრანსპორტო ლოგისტიკა და ა.შ. სწორედ სატრანსპორტო ლოგისტიკას უკავშირდება მისი შემდეგი კითხვა, რადგან ნახსენები იყო სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებები, მათ შორის საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტი, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად იყო უზრუნველყოფილი შესაბამისი ლიტერატურით მაგისტრანტებისათვის ცოდნის მიწოდება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის მეთოდებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსპერტებს არ ჰქონდათ აღნიშნული კომპონენტი ხარვეზად გამოყოფილი, თუმცა ზოგიერთ სილაბუსში, უცნაურად არის ფორმირებული სწავლის შედეგები, მისი ვარაუდით შესაძლებელია თარგმანის ბრალი იყოს, მან შემთხვევითობის პრინციპით გახსნა „სატრანსპორტო ლოგისტიკის“ სილაბუსი, სადაც ეწერა, „განსაზღვრავს სატრანსპორტო ლოგისტიკაში ცალკეული პრობლემების გადაწყვეტის გზებს, ილუსტრირებას ახდენს კომპანიის ლოგისტიკური პროცედურების, აკეთებს ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის ანალიზს, აფორმირებს ლოგისტიკურ სტრატეგიას და ახდენს იმპლემენტაციას“, ეს არის მისაღწევი სწავლის შედეგები, რომელთა დადასტურება ხდება წერითი და ზეპირი გამოკითხვით, როგორც განმარტებულია აქტივობები ფასდება დახურულ კითხვებიანი ტესტით და პრაქტიკული დავალებებით, რომლის კრიტერიუმებიც ჩაშლილია, როგორც „ზუსტად იცავს ტერმინოლოგიას“, „განმარტავს“ და ა.შ. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად შესაძლებელია სტრატეგიის იმპლემენტაციის ტესტური გამოკითხვით შეფასება, რა ტიპის ტესტებზეა საუბარი და რამდენად ვალიდურია.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შრომის ბაზრის დოკუმენტებში მიმოხილულია შრომის ბაზარი დასაქმების ობიექტების მიხედვით, ისევე, როგორც საქართველოს ლოგისტიკის ასოციაციის წერილიც არის, მაგრამ ყველგან საუბარია თუ რამდენად პერსპექტიულია აღნიშნული სპეციალობა და რამდენად დიდი მოთხოვნაა, თუმცა მან ვერ ნახა რა უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირებს ითხოვენ კონკრეტულად ამ მიმართულებით და სთხოვა დაეზუსტებინათ.

მისი განცხადებით, პროგრამაში მეორე მიზანია „მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანი და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით“, შესაბამისად, იგი დაინტერესდა თუ რა ტიპის თანამედროვე ტექნოლოგიებზე იყო საუბარი, პროგრამულ უზრუნველყოფას გულისხმობდნენ თუ არა. საბჭოს თავმჯდომარე გაეცნო ბევრ სილაბუსს და დაინტერესდა თუ რომელ სასწავლო კურსებში არის გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიების კომპონენტი და როგორ მიმდინარეობს სწავლების აღნიშნული ნაწილი. მან სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეიმურაზ კოჩაძემ სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რამდენადაც ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა, შესაძლებელია ნაშრომები შესრულებული იყოს უფრო სიღრმისეულად. რაც შეეხება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, რამდენადაც მათ დაინახეს არის ძველი კლასიფიკატორის მიხედვით გაკეთებული, ამასთანავე, „საინჟინრო ლოგისტიკა“ არსად მოიაზრებოდა, შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაცია სხვა იყო - „ლოგისტიკის მაგისტრი“, ვინაიდან აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომები ძველი პროგრამის დროს არის შესრულებული კვალიფიკაციაც არ შეესაბამება განსახილველი პროგრამის კვალიფიკაციას.

პრაქტიკის გავლის შესახებ მან განმარტა, რომ წარდგენილი იყო ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც საჭიროებდნენ ლოგისტიკის მენეჯერის პოზიციებზე და ზოგადად ლოგისტიკის მიმართულებით სპეციალისტების მომზადებას, რაც თავიდანვე აღნიშნა ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რომ ეკონომიკის სამინისტროს მიერ ლოგისტიკის განვითარების

მიმართულებით გამოცემული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც შესაბამის სტანდარტებთან უნდა მოვიდეს არა მარტო სამაგისტრო, არამედ ნებისმიერი სხვა პროგრამები და შედეგ აღნიშნული მიხედვით უნდა განისაზღვროს შემდგომი აქტივობები, ლოგისტიკის მიმართულებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობს საკმაოდ წარმატებული დეპარტამენტი, რომელიც თანამშრომლობს ევროპულ უნივერსიტეტებთან, მათი ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა, შეფასების პროცესში ეს არის, რომ პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებთან Erasmus+ საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა აქტივობები, რაც პროგრამის ინტერნაციონალიზაციას უწყობს ხელს, ლოგისტიკის მიმართულებით ინტერნაციონალიზაცია და დასავლეთის ქვეყნებიდან ლოგისტიკის მიდგომების გადმოღება საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ლოგისტიკა საქართველოში არის განვითარებადი დარგი, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც შემოვიდა, დასავლეთის ქვეყნებს კი ამერიკასა და იაპონიას აქვთ დიდი გამოცდილება აღნიშნული მიმართულებით, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ განსახილველი პროგრამის სტუდენტებმა გაიზიარონ უცხოური პრაქტიკა და გამოყენონ საქართველოშიც.

ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო თუ სად ფიგურირებდა 0407 კოდი, პროგრამის თვითშეფასებაში წერია, რომ 0719 კოდს ანიჭებდა, სანჟინრო ლოგისტიკის მაგისტრის კვალიფიკაციას.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ ერთ-ერთ სამაგისტრო ნაშრომს ეწერა მისანიჭებელ კვალიფიკაციაში 0407.

ექსპერტმა განმარტა, რომ მას არ უნახავს, თუმცა რამდენადაც გადაამოწმა, სადაც არც კვალიფიკაციის და არც „ვიკიპედიის“ პრობლემა არ ყოფილა, თუმცა მისი ვარაუდით ეს იქნებოდა წინა წლის ნაშრომები, რომელიც მას არ უნახავს და შესაბამისად ვერ დაადასტურებდა.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნათია ბუთხუზმა განაცხადა, რომ აღნიშნული ნაშრომები შესრულებულია 2018 წელს.

ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ განმარტა რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია ეს არის საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრი, შესაბამისად საგნები სასწავლო გეგმიდან გამომდინარე არ არის არც მხოლოდ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ მოფიქრებული, გაკეთებულია „ბენჩმარკინგი“ ცნობილი, წამყვანი უნივერსიტეტები, მათ შორის იტალიის უნივერსიტეტია, რომლმაც ბევრი ერთობლივი ნამუშევარი შექმნა ამ თემაზე, შესაბამისად საინჟინრო ლოგისტიკის თვალსაზრისით დარღვევა არ არის.

ბიუჯეტთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ ყოველთვის სტანდარტული პასუხებია და სწორედ ის განიხილა ექსპერტთა ჯგუფმა. რაც შეეხება პრაქტიკის წინაპირობებს, ვერ იქნება ყველა საგანი, საუბარი იყო იმაზე, რომ პრაქტიკის გავლის მომენტისათვის ყველა სავალდებულო საგანი ყოფილიყო გავლილი, ეს იყო ამის სწორი ფორმულირება, შესაძლებელია დასკვნაში ხარვეზი გაიპარა. სხვა მხრივ კი ყოველთვის შეიძლება გაუმჯობესება, მათ შორის სწავლის შედეგების მიზნებთან მიმართებაში, მაგრამ საერთო ჯამში პროგრამა მუშა მდგომარეობაშია და მიდის დასახული მიზნებისკენ, რაც ჩანს პროგრამაზე დასაქმებულთა მაჩვენებლით, რომ ყველა არის პროფილის მიხედვით დასაქმებული და საკმაოდ კარგი დამსაქმებლები ჰყავთ, ცნობილი საერთაშორისო ლოგისტიკური კომპანიები, რომლებიც ქმნიან ამინდს ბაზარზე.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ მან განმარტა რომ იგი პროგრამაში ნამდვილად არის და პროგრამის ხელმძღვანელი უკეთ დააკონკრეტებს აღნიშნულ საკითხს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ნახა გარკვეული თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც სატრანსპორტო ლოგისტიკური დერეფნების მოწესრიგებაზეა ორიენტირებული/მიმართული.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნათია ბუთხუზმა განაცხადა, რომ საუბარი იყო 2018 წელს შესრულებულ ნაშრომზე, რომელიც იყო სატრანსპორტო ლოგისტიკის მაგისტრის კვალიფიკაცია და შესაბამისი შიფრიც ამიტომ აქვს

მინიჭებული. სასწავლო კურსის „სატრანსპორტო ლოგისტიკის“ შესახებ განაცხადა, რომ ეს არის სასწავლო კურსი, რომლის სილაბუსის ავტორიც ნათია ბუთხუზი გახლდათ, მან განმარტა, რომ შუა სემესტრული გამოცდა ფასდებოდა 30 დახურული კითხვით, რომელთაც აქვთ 4 სავარაუდო პასუხი, რაც შეეხება დასკვნით გამოცდას გამოყენებული იყო ღია და დახურული ტიპის ტესტები, თვითონ საგანი შეისწავლის სატრანსპორტო ლოგისტიკის, როგორც სატრანსპორტო საშუალებების სახეობებს, ასევე მათ თავისებურებებს, არჩევისას, დატვირთვის/გადაზიდვისას გარკვეულ შერჩევას, გამოყენებას, მთელი დაგეგმვის პროცესის გავლას, რომელიც მოიცავს, მეშვიდე, მეათე, მეთორმეტე და მეთოთხმეტე კვირაში პრაქტიკულ ამოცანებს, რომლებისთვისაც სპეციალურად შექმნილია მეთოდური მითითებების კურსი და ამ მეთოდური მითითებების ფარგლებში სტუდენტები აკეთებენ სატრანსპორტო ამოცანებს, შესაბამისი თეორიული, სალექციო მასალიდან გამომდინარე, შემდეგ უკვე ამით ფასდებიან გარკვეულ ეტაპზე, რაც საჭიროა, რომ გავიდნენ სწავლის შედეგზე და შემდეგ დასკვნითი გამოცდა ეხმარებათ სისტემურად მოახდინონ ღია და დახურული კითხვებით სწავლის შედეგზე გასვლა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ სწავლის შედეგები იყო ძალიან პრაქტიკული: „შეუძლია ლოგისტიკური სტრატეგიის შემუშავება და იმპლემენტაცია“, მისი კითხვის არსი სწორედ ეს იყო, რომ აღნიშნული უნარი ვერ შეფასდებოდა ტესტური კითხვით, მაგრამ თუ დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებიდან სწორად გაიგო ეს არის არა ჩვეულებრივი, ტესტური კითხვები, არამედ პრობლემური ამოცანები, მან კიდევ ერთხელ დააზუსტა იყო თუ არა იმ ტიპის ტესტური კითხვები, სადაც სტუდენტს შეეძლო ამოერჩია პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტის გზები და ლექტორს მიეცეს ამით შეფასების საშუალებამ თუ ეს იყო სტანდარტული ტესტური კითხვა.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ეს არის, მაგ., ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდებიდან რომელი შეირჩევა ოპტიმალური ამოცანის გადასაწყვეტად, როგორ მოხდება გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი კრიტერიუმია განმსაზღვრელი და ა.შ. ასეთი კითხვებია, რომლის პასუხებიც მთლიანობაში მოიცავს აღნიშნულს..

საბჭოს წევრმა დაადასტურა, რომ მსგავსი კითხვებით კოგნიტურ უნარებს ნამდვილად შეამოწმებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის დეკანს, ოთარ გელაშვილს.

ფაკულტეტის დეკანმა, ოთარ გელაშვილმა განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამა არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამა არა მხოლოდ ფაკულტეტზე, არამედ უნივერსიტეტის მასშტაბითაც კი. იგი დაეთანხმა საბჭოს წევრს ფაკულტეტის ბიუჯეტში არსებული თანხის სიმცირეში, მაგრამ მისი თქმით პროგრამისთვის გამოყოფილია დიდი თანხები, მხოლოდ Erasmus+ -ის გრანტით სრულდება პროგრამა ამ ეტაპზე დამონტაჟდა მაღალბიუჯეტიანი ლაბორატორია, გარდა ამისა მობილობით გაგზავნეს პროფესორები (70.000 ევრომდე დანახარჯით) გადასამზადებლად, იტალიის, გერმანიის, პოლონეთის და სხვა უნივერსიტეტებში, ასევე გასათვალისწინებელია სტუდენტების მობილობა. როგორც აღინიშნა პროგრამის ბიუჯეტში წერია სტანდარტული პასუხები, რომ გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში, რაც ნამდვილად ასეა, რადგან ტექნიკური უნივერსიტეტი არის ერთი იურიდიული პირი და მას გააჩნია ერთიანი ბიუჯეტი, რომელშიც გაწერილია და არის თანხები პროგრამის განვითარებისთვის, თუმცა შესაძლებელია მიწერილი ყოფილიყო პროგრამის ბიუჯეტშიც. მისი განცხადებით პროგრამაზე მუდმივად არის მაგისტრანტების კონკურსი და მისთვის სასიხარულოა, რომ მიდიან არა მხოლოდ ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, არამედ საქართველოს თითქმის ყველა წამყვანი სახელმწიფო თუ კომერციული უნივერსიტეტიდან, შესაბამისად კონკურსის საფუძველზე ხდება მათი აყვანა. დასაქმების შესახებ მან განაცხადა, რომ 50%-ზე მეტია დასაქმებული და უმეტესობა ტოპ მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობს სატრანსპორტო კომპანიებსა და ფირმებში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, პროფესორ, ლილი პეტრიაშვილს.
პროფესორმა, ლილი პეტრიაშვილმა გამოკითხვასთან დაკავშირებით განაცადა, რომ შესაძლებელია საბჭოს წევრმა დაინახა სუბიექტურობა, რადგან წარდგენილი იყო ლოგისტიკური კომპანიები, მაგრამ არა მხოლოდ ისინი იყვნენ, არამედ მათ შორის იყო საქართველოს რკინიგზა და ერთ-ერთი ბანკი. დაწესებულების წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ ეს აბსოლუტურად სწორი მიმართვა იყო, რადგან ლოგისტიკური კომპანიების ხელმძღვანელებთან ჰქონდათ საუბარი და შემდეგ კითხვარებიც გაუგზავნეს, სადაც დეტალურად იყო გაწერილი მათი პრიორიტეტები და როგორ კადრებს ითხოვდნენ. გამოცდილებას კურსდამთავრებულები პირველ ეტაპზე საქმდებიან პირადი კავშირებით, რეკომენდაციას უწევენ დაწესებულკების წარმომადგენლები, რათა დასაქმდნენ აღნიშნულ კომპანიებში, შემდეგ კი იშლება და მოიცავს სპექტრს, რომელსაც ჰქვია ლოგისტიკური მოთხოვნა, ძალიან მკაფიოდ იყო განსაზღვრული და ობიექტურად შეფასებული, მათი მხრიდან მოთხოვნებიც კი დაწერეს თუ რას შეცვლიდნენ და რა სჭირდებოდა თანამედროვე ლოგისტს, ასევე რა მოთხოვნებს უყენებდნენ, რამაც გარკვეული სურათი მისცა მათ, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში გაეთვალისწინებინათ თუ რაზე უნდა გაეკეთებინათ აქცენტი. ვინაიდან უმეტესად ლოგისტიკური კომპანიები იყო ჩართული მისი მოსაზრებით უფრო სწორ აქცენტებს გააკეთებდნენ და დაწესებულებასაც პროფესიონალებისგან სურდა მოესმინა რა უნარ-ჩვევები უნდა ჰქონოდა ლოგისტს, რომელსაც ისინი ამზადებდნენ.
თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ეს არის ის შემთხვევა, როდესაც პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ყველანაირად უზრუნველყოფილია, აქვთ ლაბორატორია, სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გააკეთონ არა მხლოდ პრაქტიკული პროექტები, არამედ სამეცნიერო თემებზეც შეუძლიათ გარკვეული სამუშაოების შესრულება. რაც შეეხება საგანს, ლილი პეტრიაშვილი არის ერთ-ერთი სილაბუსის „ტელემატიკური სისტემების“ ავტორი, რომელიც არის თანამედროვეობის ყველაზე მაღალი სტანდარტი/ტექნოლოგია, არის ისეთი სისტემები, რაც ლოგისტებისთვის აუცილებელია, მაგ., საიდენტიფიკაციო სისტემები, საკომუნიკაციო სისტემები, სანავიგაციო სისტემები და სხვა. მათი ყველაზე ძვირადღირებული RFID ტექნოლოგია აქვთ ლაბორატორიაში, რაც აძლევთ საშუალებას პირდაპირ ანახონ სტუდენტებს როგორ ხდება აღნიშნული ტექნოლოგიით სასაწყობე პროცესებში ინვენტარიზაცია, ლოკაციის განსაზღვრა, პროდუქციის იდენტიფიკაცია, რომ რეალურ დროში დაინახონ რა მდგომარეობაა რომელიმე კონტეინერში/საწყობში ან რომელიმე თაროზე, ძალიან ბევრი პრაქტიკული ამოცანები აქვთ, რომლებიც ლოკაციის საკითხებსაც მოიცავს GPRS სისტემები და ფართო სპექტრია. მეორე საგანი არის „საწარმოო პროცესების მართვა საინფორმაციო სისტემების გამოყენებით“, რომელიც არის RP სისტემა და მოიცავს ყველა იმ მოდულს რაც შეიძლება ორგანიზაციის დაქვემდებარებაში არსებობდეს საწარმოო პროცესებში, მენეჯმენტის თვალსაზრისით, რაც არის ის თანამედროვე პროცესები, რომლებსაც მენეჯმენტში წამყვანი ორგანიზაციები იყენებენ და რისი გამოყენების ფუფუნებაც აქვს ტექნიკურ უნივერსიტეტს.
საგნების მიზნებთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ სანამ სილაბუსების ავტორებს გაესაუბრებოდნენ და მოხდებოდა მათი ფორმირება, დაწესებულების წარმომადგენლებს ყველა მათგანთან ჰქონდათ შეხვედრა, იცოდნენ მათი მიზანი და შედეგები, რაც აბსოლუტურ თანხვედრაშია და სილაბუსები თითქმის იდენტურია უცხოური უნივერსიტეტის სილაბუსების. ასევე, საუბარი იყო, რომ სილაბუსებში ხდებოდა გარკვეული საკითხების გამეორება, რაც მისი მოსაზრებით ბუნებრივია, რადგან ერთ შემთხვევაში საუბარია მათემატიკურ მოდელირებაზე საუბარი, სიმულაციურ მოდელებში, მეორე კი იყო „ჭკვიანი ტრანსპორტი“, თანხვედრა ლოგიკურად არის, თუმცა იდენტურად არსად არ მეორდება ერთიდაიგივე საკითხი, თუ სიმულაციურ მოდელირებაში საუბარია როგორ მოხდეს სატრანსპორტო ნაკადების მართვა/დაგეგმვა მეორე საგანში საუბარი იყო მათემატიკურ მოდელზე, თუ არ შეიქმნა მოდელი, არ დაიწერა ალგორითმი ვერ მოხდება სიმულაცია, ამიტომ

სხვადასხვა შინაარსია. დაწესებულების წარმომადგენლები მაქსიმალურად ცდილობდნენ გამოეყენებინათ ლაბორატორიული ბაზა და ყველა საგანში ცდილობენ დატვირთონ სტუდენტები, რადგან ლაბორატორია იძლევა ამის საშუალებას.
სამაგისტრო ნაშრომების შესახებ პროფესორმა განაცხადა, რომ თვითონ არის კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ნაშრომის დაცვის პროცესში მონაწილეობს, ეს არის საკმაოდ სენსიტიური თემა, გამოწვევა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის, ნებისმიერი ნაშრომი რომ ნახონ, მითუმეტეს ბოლო ხუთი წლის მანძილზე შესრულებული, ვერ ნახავენ ვერცერთ ნაშრომს, რომელსაც არ ექნება ზუსტად განსაზღვრული მეთოდოლოგია, დაცული სქემა, რომელიც მოიცავს ნაშრომის აქტუალობას, განსაზღვრული მკაფიოდ სად ატარებენ კვლევას, ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს კვლევის მეთოდები და დასკვნა შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომებზე შესაძლებელია ზოგადად არის აღნიშნული პრობლემა, მაგრამ მას ხმამაღლა შეუძლია თქვას, რომ ყველა ნაშრომი ვერ გადის დაცვაზე და ეს არის მათი კრიტიკული პოზიცია, სტატისტიკაც რომ ნახონ გაცილებით ნაკლები ამთავრებს სამაგისტრო პროგრამას, რადგან დაწესებულებას აქვს კრიტიკული პოზიცია სტუდენტების შედეგების შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა საუბარი სამაგისტრო ნაშრომების აღნაგობასთან დაკავშირებით.
პროფესორმა, ლილი პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ მას უკვე უპასუხა გამოკითხვებთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განმარტა, რომ საუბარი იყო ლიტერატურაზე, რადგან ერთ-ერთ ნაშრომში მოხსენიებული იყო სულ 5 წყარო და ჩამონათვალში იყო „ვიკიპედია“, სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით აინტერესებდა დაწესებულების მოსაზრება. მისთვის გასაგები და მისაღებია ძველი კოდის საკითხი. მისი თქმით საბჭოს მიწოდებული ჰქონდა 3 სამაგისტრო ნაშრომი, რომლებში ნახა იდენტური სურათი, მან ვერ ნახა ერთიც კი, რომელსაც ბრწყინვალედ ჩამოყალიბებული დასკვნა ექნებოდა და კარგად გააზრებული ლიტერატურა, რისი გასწორებაც შეიძლება, რომ სტუდენტებმა „ვიკიპედია“ არ მიუთითონ გამოყენებულ ლიტერატურად, როგორც საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, როდესაც ასწავლიან აკადემიური წერის სტანდარტებს იქ ასწავლონ, რომ „ვიკიპედია“ არ უნდა მოიხსენიონ წყაროდ.
პროფესორი, ლილი პეტრიაშვილი დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ „ვიკიპედია“ არ უნდა ეწეროს ლიტერატურაში, მითუმეტეს მაგისტრანტებთან აქვთ უცხო ენის ცოდნის მოთხოვნა და არ უნდა მომხდარიყო ასეთი შეცდომა. მან განმარტა, რომ აქცენტი გააკეთა იმ სქემაზე რასაც იცავენ შედეგის მისაღებად.

15:52 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნინო ჭალაგანიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა პროგრამის ხელმძღვანელს, რეზო თედორაძეს.
პროგრამის ხელმძღვანელმა, რეზო თედორაძემ განაცხადა, რომ დასმული კითხვები ღრმა შინაარსის მატარებელი და გასათვალისწინებელია. მან განმარტა, რომ დაწესებულებას აღნიშნული მიმართულებით აქვს საბაკალავრო პროგრამაც, რომელიც მუშაობს 4 წელზე მეტია და გასცემს ორმაგ დიპლომს, სტუდენტები, რომლებიც ბოლო კურსზე წარჩინებით დაძლევენ პროგრამას სწავლას აგრძელებენ გერმანიის ცნობილ უნივერსიტეტებში.
მისი თქმით ის სილაბუსები, სასწავლო პროგრამები და სწავლის მეთოდები, რომლებიც მოცემულია პროგრამაში მთლიანად გერმანელებთან, იტალიელებთან და ცნობილ სპეციალისტებთან ერთად არის შექმნილი, ისინი ჩამოდიოდნენ და დაწესებულების წარმომადგენლებიც მიდიოდნენ გაცვლითი პროგრამით, რაც კვლავ გრძელდება. მისი თქმით ყველა სასწავლო კურსის პროგრამა შედგენილია იმ მიმართულებით, რომ დაწესებულებამ მიაღწიოს სწავლების ისეთ დონეს, როგორიც ზემოაღნიშნულ ცნობილ უნივერსიტეტებშია, სადაც სრულდება რეალური პროექტები/თემები, გათვალისწინებულია გრანტები და ა.შ.

მაგისტრანტები პირდაპირ არიან ჩართულნი პროექტების შესრულებაში და დაწესებულებას სურს ლაბორატორიებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით გავიდეს ისეთ დონეზე, რომ შეასრულონ სამუშაოები, როგორც ურბანულ ტრანსპორტში, ასევე სხვა დარგში, მაგისტრანტებმა მიიღონ ისეთი ცოდნა, რომ გაიარონ პრაქტიკა.
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ დაწესებულებას სურს კეთებაზე დაფუძნებული სწავლა.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ამისთვის იბრძოდნენ და ამას აკეთებდა ის დაფინანსება, რომელიც საკმაოდ დიდი მოცულობის იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში 5.1 კომპონენტში წარდგენილია 2 რჩევა, მეორე რჩევაში საუბარია: „სასურველია მკაფიოდ გამოიკვეთოს კონკრეტულად როგორ არის გამოყენებული შიდა ხარისხის შეფასების შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად“, ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებს სთხოვა ესაუბრათ აღნიშნულ ნაწილზე. მან ასევე განაცხადა, რომ ამავე კომპონენტში არის მესამე რჩევა „პერიოდული თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტში პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზისას მუშა ჯგუფმა უზრუნველყოს უფრო მეტად რეალისტური მიდგომების გამოყენება“ და სთხოვა აღნიშნულ საკითხზეც უფრო ვრცლად ესაუბრათ.
ექსპერტის, ვასილ კიკუტაძის თქმით „მეტად რეალისტური“ იგულისხმებოდა, რომ არ არსებობს ისეთი პროგრამა, რომ არ ჰქონდეს გასაუმჯობესებელი მხარე და როდესაც იგი გაეცნო თვითშეფასების დოკუმენტს მასაც გაუკვირდა და ჰქონდა დაწესებულებასთან საუბარი და აღნიშნული თემის განხილვა, მან სთხოვა დაწესებულება თვითშეფასების გაკეთებისას ნუ იფიქრებდნენ, რომ ყველაფერი კარგად იყო და არაფერი ჰქონდათ გასაუმჯობესებელი.
პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა ექსპერტს.
ექსპერტმა შეფასების გამოყენების კონკრეტულ მაგალითებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მას გაუჭირდა გამორკვევა, რადგან ცალკე ანგარიში კონკრეტულად ამ შეფასებიდან რა გამოვიდა არ არის, კომბინირებულია თუ რა გამოვიდა შეფასებებიდან მიღებული შედეგების პროგრამაში გამოყენებით, ვინაიდან გაუჭირდა ამის გამორკვევა, სტანდარტის შესაბამისად მოითხოვა ცალკე ანგარიში, რამაც დაადასტურა რომ გამოყენებულია, მაგრამ გაერთიანებულია სხვადასხვა რაკურსებით/მიმართულებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:20

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 2.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება; 4.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეოთხზე სტანდარტის შეფასების ცვლილება;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
ა) უმჯობესი იქნება შეიცვალოს კურსების „დისტრიბუცია და საწყობის მენეჯმენტი“ და „მიწოდებათა ჯაჭვის მენეჯმენტი“ შესწავლის რიგითობა;
ბ) საჭიროა დაზუსტდეს ზოგიერთი სილაბუსის დასათაურების და შინაარსის შესაბამისობა და ზოგიერთი შესასწავლი თემის თანხვედრა;
გ) რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო გეგმა სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში და შემუშავდეს აკადემიური წერის სტანდარტებისა და კვლევის მეთოდების საკითხების ამსახველი სასწავლო კურსი/ები;
დ) რეკომენდირებულია „საწარმოო პრაქტიკის“ დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები (1, 2 სემესტრის კურსები);
ე) რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებულ იქნას უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
ვ) რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
ზ) რეკომენდებულია დაზუსტდეს როგორ, სად არის გამოყენებული მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად.

რჩევები:
ა) სასურველია უფრო მეტად გამოიკვეთოს მაგისტრანტისათვის სწავლის პირველი შედეგის მიღწევის გზები (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება);
ბ) სასურველია ჩატარდეს შრომის ბაზრის სიღმისეული კვლევა კურსდამთავრებულთა შრომითი უნარების დაზუსტებისათვის;
გ) სასწავლო კურსი „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ უმჯობესია განთავსდეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში;
დ) სასურველია პროგრამის შემდგომი განვითარების ეტაპზე მონათესავე კურსებში გაძლიერდეს ლოგისტიკური რისკების მართვის საკითხები, ან სასწავლო კომპონენტს დაემატოს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსი;
ე) სილაბუსში იყოს ასახული ესა თუ ის სასწავლო კურსი ძირითადია თუ არჩევითი;
ვ) სასურველია გასწორდეს ტექნიკური ხასიათის უზუსტობები ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში
ზ) სასურველია გაიზარდოს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა;
თ) სწავლის შედეგების ფორმულირებისას მათი გაზომვის მიზნით სასურველია რიგ სავალდებულო სასწავლო კურსში შერჩეულ იქნას რელევანტური შეფასებისა და სწავლების ფორმები და მეთოდები;
ი) სასურველია კურსდამთავრებულების უფრო ფართოდ ჩართვა პროგრამის გაუმჯობესებაში (გამოკითხვები, რჩევები, პრაქტიკული საქმიანობიდან მიღებული გამოცდილებები და ა.შ.);
კ) სასურველია პროგრამის სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების რუკაზე დაფიქსირდეს რომელ სასწავლო კურს(ებ)ში ხდება პროგრამის პირველი სწავლის შედეგის გაცნობა;
ლ) სასურველია მკაფიოდ გამოიკვეთოს კონკრეტულად როგორ არის გამოყენებული შიდა ხარისხის შეფასების შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად;

მ) პერიოდული თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტში პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზისას მუშა ჯგუფმა უზრუნველყოს უფრო მეტად რეალისტური მიდგომების გამოყენება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამთო და გეოინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.09.2012, გადაწყვეტილება №487
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამთო და გეოინჟინერიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამთო საქმე და მოპოვება, 0724
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. №68, ქ. თბილისი, სასწავლო კორპუსი №1, 0175, საქართველო

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადეს ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და დავით კაპანაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო დონდოლაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
2.2 კომპონენტთან მიმარებით:
1. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა აკადემიური წერის სტანდარტების შესახებ სასწავლოკომპონენტი გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებსმისცეს ცოდნა და უნარების სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულებისმიზნით;
5.1. კომპონენტთან მიმართებით:
2. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მარეგულირებელი შიდა აქტების შემუშავება, რათა მათ ერთგვაროვანი ხასიათი ჰქონდეს დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის სწავლების ყველა საფეხურზე;
3. მუდმივად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დაწესებულებაში მოქმედი შიდა აქტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ ნორმებთან, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების პარალელურად;
4. პროცესები მეტად ფორმალიზებული და გაწერილი უნდა იყოს, მათი სავალდებულოდ შესრულების მიზნით;

5. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ცნობიერების ამაღლება კვლევითი ნაშრომის შესასრულებლად აკადემიური წერის სტანდარტებისა და პლაგიატის თაობაზე;
6. დაწესებულებამ პერსონალის აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების კომპონენტში უნდა გაითვალისწინოს სტუდენტთა რაოდენობრივი კვოტა, რომელთა კვლევითი ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა შეუძლია მასთან დასაქმებულ პერსონალს;

5.2. კომპონენტთან დაკავშირებით:

7. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გარე შეფასების პროცედურებისა, განახორციელოს პროგრამის გარე შეფასება ისეთი პროცედურების მეშვეობით, როგორიც არის განმავითარებელი შეფასება, მოწვეული ექსპერტების მიერ პროგრამების შეფასება და დასახოს სამოქმედო გეგმა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებითსათვის;

5.3. კომპონენტთან მიმართებით:

8. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მარეგულირებელი, სავალდებულო ერთიანი შიდა აქტი, რომელიც დეტალურად აღწერს შეფასების განხორციელების პროცესს;
9. აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობა შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის;
10. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა პირს;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ მისთვის სასიხარულოა ასეთი დასკვნა, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია თავისი შინაარსით მნიშვნელოვანია. პირველი რეკომენდაცია, რომელიც უკავშირდება აკადემიური წერის კომპონენტს, ტექნიკურ უნივერსიტეტს არა ერთხელ უმსჯელია საბჭოსთან, აღნიშნული საჭიროება ნამდვილად დგას, შესაბამისად დაწესებულება დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას.

რეკომენდაცია 5, 6, 8, 9, 10-თან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ, ზოგადად, რეკომენდაციები შინაარსობრივად მნიშვნელოვანია, თუმცა როდესაც დაწესებულებამ ექსპერტებს უმასპინძლა, თითოეულ მათგანთან მიმართებით წარადგინეს დაწესებულების პოზიცია და ამ საკითხებთან დაკავშირებით უნივერსიტეტს შესრულებული აქვს აღნიშნული რეკომენდაციები, საუბარია პლაგიატთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომა, რომელის შესახებაც არა მხოლოდ სტუდენტსა და პროფესორს, არამედ არ დარჩა უნივერსიტეტის პერსონალი, რომელსაც არ აქვს ინფორმაცია პლაგიატზე. თუ კი რამე არ უჭირს ტექნიკურ უნივერსიტეტს ეს არის პერსონალის რაოდენობა, საუბარია, რომ მიიღონ იმ რაოდენობის სტუდენტები რამდენსაც შეძლებენ, რასთან მიმართებითაც უნივერსიტეტს არ აქვს პრობლემა, ზოგადად, მისაღები კონტიგენტის დაგეგმვაში ყველაფერს ითვალისწინებენ.

მან განაცხადა, რომ მერვე რეკომენდაციაში ნახსენები დოკუმენტაცია არაერთხელ იყო წარმოდგენილი საბჭოზე სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, რადგან უნიფიცირებულია, ექსპერტთა ზოგიერთ შემადგენლობას ძალიან მოსწონს, ამ კუთხით აზრთა სხვადასხვაობაა, თუმცა დაწესებულება აპირებს გადახედოს და გაუმჯობესოს.

მეათე რეკომენდაციის შესახებ მან განაცადა, რომ დაწესებულების შიდა სამართლებრივი აქტები ითვალისწინებენ აღნიშნულს, შესაბამისად სრულდება განსახილველ პროგრამასთან მიმართებითაც, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა მხოლოდ ტექნიკურ უნივერსიტეტში ხორციელდება, სამწუხაროდ, პარტნიორი დაწესებულება საქართველოში არ ჰყავთ. გარე შეფასებასთან მიმართებით კი გარკვეული ციკლი დასრულებულია ორი წლის წინ და

მოდიფიცირება, რომელიც რეაკრედიტაციისთვის განხორციელდა, მათ შორის 69/ნ ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა ახალ ჩარჩოზე გადასვლას, არალოგიკურიც იქნებოდა, რომ აღნიშნული ციკლი დასრულებულიყო, სხვა შემთხვევაში მიიღებდნენ ფორმალურ დოკუმენტს, რომელსაც ვერ გამოიყენებდნენ.
მეორე, მესამე და მეოთხე რეკომენდაციების შესახებ მან განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები მეტად შემხებლობაშია დაწესებულებასთან, სამართლებრივ შესაბამისობაზეა საუბარი, უნივერსიტეტის მარეგულირებლების მოქმედ კანონმდებლობასთან. 99.9% სრულ თავსებადობაშია მათი საკანონმდებლო აქტები მოქმედ კანონმდებლობასთან, გარკვეულ საკითხებზე დაგვიანებით არის მომხდარი რეაგირება და ის რომ რასაც ცენტრი ახორციელებდა ახლა EMIS-ის ფუნქციაა, რაც არ არის ახალი, მაგრამ დაგვიანდა ტექნიკურ უნივერსიტეტში ასახვა, თუმცა რაც არის შიდასაკანონმდებლო აქტების მიზანი, რომ ყველაფერი განხორციელდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში რეალიზებულია და უნივერსიტეტის არცერთი ნაბიჯი არ არის კანონმდებლობასთან შეუთავსებელი და ამას უზრუნველყოფენ, თუ დროში ვერ ეტევიან შესაბამისი მართვის ორგანო აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო ან ერთობლივად, წერტილოვნად არეგულირებენ. კვლევის კომპონენტთან დაკავშირებით საკითხი კი მოაწესრიგა აკადემიურმა საბჭომ.
მეოთხე რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ თუ რაიმე პრობლემა აქვს ტექნიკური უნივერსიტეტს შიდასამართლებრივ აქტებთან მიმართებაში, ეს არის ბევრი უსარგებლო და მიზანშეუწონავი შეზღუდვა, პრაქტიკულად დაწესებულება თვითონვე იქმნიდა პრობლემებს დაწესებული რეგულაციებით, რომლებიც შედეგთან მიმართებით არ იყო მთლად ეფექტიანი და აქედან გამომდინარე ის, რაც კეთდება კორპორაციული შესაბამისობის კუთხით, პრაქტიკულად გამარტივებისკენ მიდის, ერთი საკითხი იწერება ერთ დოკუმენტში და ერთადერთი რეორგანიზაციის პროცესში მიმდინარე რეჟიმში არის გაჩერებული და კონკრეტულ გადაწყვეტას ელოდება, მაგ., დებულებების დონეზე, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ახალი პროექტების გაჩერების კვალდაკვალ არის დოკუმენტები, თუნდაც წერტილოვნად არ არის მოწესრიგებული, დაწესებულებას აქვს სამუშაო ამ მხრივ, რაც მიმდინარეობს, მაგრამ მის დასრულებამდე კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით პრობლემა არ აქვთ.
დაწესებულება დაეთანხმა მეშვიდე რეკომენდაციას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ განსახილველ პროგრამასთან დაკავშირებით მაქსიმალურად ცდილობენ გაამლიერონ გარე შეფასების შესაძლებლობები, ვინაიდან საქართველოში არ ჰყავთ პარტნიორი უნივერსიტეტი ელოდებიან მის ფარგლებს გარეთ მისაწოდებელ ინფორმაციას, რომელიც ყველაზე ეფექტიანი იქნება სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ, როდესაც განსახილველი პროგრამა გარკვეულ შედეგს მისცემს, მანამდე გაგზავნილი აქვთ ინფორმაცია და რა თქმა უნდა განხორციელებულ ცვლილებებთან მიმართებით, აკადემიურ პერსონალსაც საკმაოდ აქტიური კონტაქტი აქვთ უცხოელ კოლეგებთან და ხორციელდება ინფორმაციის გაცვლა, მათ შორის შიდა მოხმარების დოკუმენტებში, მაგ., როდესაც ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთაზეა საუბარი, დოკუმენტებში ძალიან ფართო/დეტალიზებული ინფორმაცია იყრის თავს, სამწუხაროდ გარე შეფასებისთვის ამ კუთხით დოკუმენტაცია არ არის სათანადო დონეზე წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კომენტარი გააკეთა შრომის ბაზართან დაკავშირებით, რომლის კვლევაშიც მონაწილეობა მიიღო შვიდმა რესპოდენტმა, თუმცა ვინ არან აღნიშნული რესპოდენტები უცნობია, თუმცა დარწმუნებულია, რომ მათ დარგში ყველაფერი კარგად იციან, მაგრამ კარგი იქნება, რომ საბჭოსთვისაც ცნობილი იყოს მათი ვინაობა, ამასთანავე, კვლევისას დაისვა 8 კითხვა და საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად შესაძლებელია 6-მა ადამიანმა 8 კითხვაში სიღრმისეული ანალიზი წარადგინოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებით. მისი თქმით, აქვთ დისციპლინა „ოპერაციული და საწარმოო მენეჯმენტი“, რომელსაც არ აქვს წინაპირობა და ლიტერატურაც საბაკალავრო დონისაა, როგორც წესი აღნიშნული

ლიტერატურით ასწავლიან ბაკალავრიატში, ამდენად, ან დისციპლინა უნდა მოიყვანონ შესაბამისობაში სამაგისტრო დონესთან და დაუდგინონ წინაპირობა ან უარი თქვან აღნიშნულ კურსზე.
მან განაცხადა, რომ გადახედა ყველა სამაგისტრო ნაშრომს, წარმოდგენილი იყო დაბალი, საშუალო და მაღალი შეფასების ნაშრომები, მიუხედავად ამ რანჟირებისა ლიტერატურასთან მიმართებაში ყველგან ერთიდაიგივე პრობლემაა, არის მოძველებული ლიტერატურა, 60-იანი, 50-იანი, 70-იანი, 80-იანი წლების, ზოგი მოძველებული რუსულ ენაზე, ზოგი ქართულ ენაზე, ინგლისურენოვანი შედარებით ახლები იყო, ერთ ნაშრომს კი საერთოდ არ ჰქონდა ლიტერატურა მითითებული, რაც მისი მოსაზრებით შესაძლებელია ტექნიკური ხარვეზი ყოფილიყო.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ელენე ჟურავლოვას.
საბჭოს წევრის, ელენე ჟურავლოვას განცხადებით რჩევებში, ნაწილობრივ რეკომენდაციებში ასახულია, რომ გამოყენებული ლიტერატურა, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის შეძლებისდაგვარად იყოს განახლებული/თანამედროვე, ამასთან დაკავშირებით საბჭოს წევრი დაინტერესდა ექსპერტის მოსაზრებით, რადგან მისაღებ გამოცდაზე ოთხივე უცხო ენა მოეთხოვება აპლიკანტს და რამდენად არის დარგში შესაძლებლობა, რომ თუნდაც პუბლიკაციები გამოიყენოს ოთხივე ენაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, დიანა მჭედლიშვილს.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი საკანონმდებლო, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მოწესრიგებას ეხება, მისი მოსაზრებით კარგი იქნება თუ ნათელი მოეფინება პროგრამის განხორციელების ჭრილში რა შემაფერხებელია მარეგულირებელი დოკუმენტაციაში, ანუ რა ფერხდება პროგრამაში, რადგან ასეთი თემები უფრო ავტორიზაციის დროს რეგულირდება.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ შეფასებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თუ როგორ შეაფასებდნენ ექსპერტები დარგობრივ ჭრილში, რამდენად არის შინაარსობრივად შესაბამისი, ასევე რამდენად არის სამაგისტრო ნაშრომების დარგთან შესაბამისი.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ სწავლის შედეგები შეფასებულია როგორც შესაბამისი, დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, თუ რამდენად შესაბამისია აღმწერის დონესთან, რადგან მეშვიდე საფეხური სამაგისტრო პროგრამაა და ორიენტაცია უნდა იყოს სწავლის ან საქმიანობის სფეროს ღრმა სისტემურ ცოდნაზე, მის კრიტიკულ გააზრებაზე და ა.შ. პროგრამის სწავლის შედეგები კი ძალიან მარტივად არის ფორმულირებული, აღწერს, ჩამოთვლის, დაასახელებს და არ ჩანს აღნიშნული დონე, იგივე იკვეთება ცალკეულ სილაბუსებში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით რასაც გაეცნო სწავლის შედეგები ბაკალავრიატის დონისთვის უფროა ფორმულირებული.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ნინო დონდოლაძეს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო დონდოლაძემ სამაგისტრო ნაშრომში მოძველებული ლიტერატურის გამოყენებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს რჩევებში აქვს გაწერილი, რომ სასურველია შედარებით ახალი ლიტერატურის გამოყენება, მაგრამ შეძლებისდაგვარად მითითებულია, რადგან ამ დარგის ქართულენოვანი ლიტერატურა ნაკლებად მოიპოვება, შესაბამისად სილაბუსებშიც მითითებულია, რომ ლექტორებსაც აქვთ ნამუშევარი აღნიშნულ ლიტერატურაზე და განახლებულია, ამიტომ ჩაწერეს „შეძლებისდაგვარად“, ანუ რამდენადაც იქნებოდა შესაძლებელი, როგორც ცნობილია პროფესორები ლიტერატურას თავს უყრიან სილაბუსების მიხედვით და ამით ხდება ლიტერატურის ფონდის შევსება, აქედან გამომდინარე საჭიროდ ჩათვალეს გაეწერათ, როგორც რჩევა. უცხოენოვანი ლიტერატურა მოიპოვება ინტერნეტ სივრცეში, ქართულთან შედარებით უფრო მეტია, სწორედა ამიტომ დაწერეს, რომ იქნებ გამოყენებულ იქნას ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რადგან სტუდენტები, მაგისტრანტები, რომლებიც მოდიან აქვთ წინაპირობა,

რომ უნდა იცოდნენ ინგლისური ენა, უნდა ჰქონდეთ გარკვეული დონის სერტიფიკატი და აქედან გამომდინარე ჩაიწერა ინგლისურენოვანი ლიტერატურა. რჩევებში ასევე ეწერათ, რომ ლიტერატურის გამოყენების ერთიანი სისტემა უნდა იყოს უნივერსიტეტში შემუშავებული, მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებელ აქტებში არ არის, შესაძლებელია მაინც იყოს ასეთი სისტემა, რომელი ლიტერატურა რომელ თავში გამოიყენებოდეს და ა.შ. უნდა იყოს შემოღებული, ან თუ შემოღებულია განხორციელებული.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ დააზუსტა, რომ ინგლისურის გარდა შეუძლია მაგისტრატურაზე ჩააბაროს სხვა ენებითაც და დაინტერესდა თუ რამდენად არის ხელმისაწვდომი დარგობრივი ლიტერატურა სხვა ენებზე, რადგან რუსულად იცის რომ არის, დაინტერესდა არის თუ არა ლიტერატურა აღნიშნული მიმართულებით გერმანულად და ფრანგულად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ფრანგულ ლიტერატურაზე არ ჰქონდა ინფორმაცია, რამდენად არის ფრანგულენოვანი ლიტერატურა, თუმცა რუსულენოვანი ძალიან ბევრია, აკადემიური პერსონალიდანაც უმეტესობა საშუალო ასაკის ხალხია, რომელთაც რუსული ენა კარგად იციან და შეუძლია გამოიყენონ აღნიშნული ლიტერატურა.

სამაგისტრო ნაშრომების შესაბამისობის შესახებ მან განაცხადა, რომ განიხილეს ექვსივე ნაშრომი და მათი მოსაზრებით შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომისთვის მითითებულ დონეს, რჩევები/შენიშვნები იყო ისეთი საკითხები, რაც არ უნდა ყოფილიყო, რუსული აბრევიატურები, თუმცა სამაგისტრო საფეხურის დარგობრივ დონეს შეესაბამებოდა და შესაბამისი შეფასება ჰქონდა ნაშრომებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფს შეახსენა საბჭოს წევრის, დიანა მჭედლიშვილის კითხვა.

ექსპერტი, სოფიო უგრეხელიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მისი თქმით ინტერვიუს დროს ნამდვილად აღინიშნა, რომ როდესაც უნივერსიტეტში აღნიშნულ საკითხებზე საუბრობდნენ და განიხილავდნენ, უნივერსიტეტში მიმდინარეობს რეორგანიზაცია, სხვა პროგრამის ფარგლებში განხილულ/მიღწეულ შედეგებზეც ჰქონდათ საუბარი და ნამდვილად ესმის, რომ ადვილი/მარტივი სამუშაო ტექნიკურ უნივერსიტეტში არ დახვედრიათ, გამომდინარე მისი ზომიდან და სტუდენტთა მოცულობიდან, თუმცა ექსპერტებმა კონკრეტული პროგრამა შეაფასეს კონკრეტულ დროსა და სივრცეში, იმ მოცემულობით, რაც ჰქონდათ ვიზიტის განმავლობაში. რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აქტების სამართლებრივი შესაბამისობა და შიდა მარეგულირებელი აქტების საკითხი რამდენად შემაფერხებელი შეიძლება იყოს სასწავლო მიზნებისთვის, იქ მხოლოდ ცენტრის მაგივრად Emis-ის ტერმინად ჩარჩენაზე არ იყო საუბარი, მაგ., მოცემული იყო რამდენიმე დოკუმენტი, სადაც გაწერილი იყო, რომ სადოქტორო პროგრამის მოცულობა 180 კრედიტს შეადგენს, რაც საკმაოდ დიდი ხნის წინ გაუქმდა, როდესაც ექსპერტთა ჯგუფს დასჭირდა დოქტორანტურის დებულების საიტზე მოძებნა აღმოჩნდა, რომ ატვირთული იყო 2 ვერსია: ძველი და ახალი, როგორც აღმოჩნდა ახალი, 2018 წლის ვერსია აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი, შედარებით განახლებული იყო, თუმცა მისთვის უცნობია ტექნიკური ხარვეზი იყო თუ სიჩქარეში დაშვებული შეცდომა ძველი და ახალი მარეგულირებელი ნორმები ერთად რომ იყო ჩარჩენილი, საბედნიეროდ პროგრამის მოცულობაში, აღწერილობაში, სამაგისტრო/სადოქტორო საფეხურზე, რაც განიხილეს ერთიანი ვიზიტის ფარგლებში, თუმცა ახლა მხოლოდ სამაგისტროზე საუბრობდნენ, პროგრამაში კრედიტები სწორად იყო განაწილებული და შინაარსობრივ ნაწილში პრობლემას არ ჰქნის. თუმცა ზოგადად, შიდა მარეგულირებელი აქტები, რომლებიც პროგრამის სახელმძღვანელოა სტუდენტებისა და პერსონალისთვის, რადგან საკანონმდებლო მაცნეში შესაბამისი აქტების ძიებას არ იწყებენ ხოლმე, თუკი რამე სჭირდებათ პერსონალსაც და სტუდენტებსაც ნახულობენ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, სადაც ნაკლებად არის ხელმისაწვდომი განახლებული რედაქციები შიდა მარეგულირებელი აქტები, თუმცა რჩევის სახით წერია, რადგან დაწესებულების გემოვნებაზეა დამოკიდებული გაითვალისწინებს თუ არა, მაგრამ არაერთ უნივერსიტეტს აქვს და კარგად

იყენებენ, ე.წ., კოდიფიცირების მექანიზმს, რადგან საბოლოო რედაქცია იყოს ატვირთული/ხელმისაწვდომი ვებ გვერდზე, როგორც სტუდენტების, ისე პერსონალისა და დაინტერესებული პირებისათვის.

მექანიზმებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ აკრედიტაციის მეხუთე სტანდარტის ფარგლებში შეფასების სისტემები და მექანიზმები განხილული იქნა, მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციის პროცესში ეს ყველაფერი ფასდება, აკრედიტაციის მეხუთე სტანდარტიც ამას მოითხოვს, შესაბამისად რეკომენდაციებიც იმიტომ იქნა გაცემული, რომ არის რამდენიმე აქტი, პროგრამების შემუშავების შემდგომ განვითარების წესი, საიდანაც ცხადია - პროცესი არ არი ბიუროკრატიული პროცესებით დატვირთული, თუმცა თავიდანვე იკითხება თუ საიდან იწყება პროგრამის შემუშავება და რა პროცედურებს გადის. ხარისხის შიდა მექანიზმების დოკუმენტი წარმოდგენილია დანართებში და ექსპერტი ისევ იმავე აზრზეა, რაზეც ინტერვიუებშიც აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენლებთან, დოკუმენტში ძალიან კარგად არის მითითებული ხარისხის შეფასების ის მექანიზმები, რომელიც უნდა გამოიყენოს უნივერსიტეტმა, პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, თუმცა ნაკლებად არის მითითებული თუ როგორ იყენებს ამას, ანუ მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვის პროცესი. ექსპერტი დაეთანხმა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ გაჟღერებულ ფრაზას, რომ უნივერსიტეტი ცდილობს განთავისუფლდეს უსარგებლო თვითშეზღუდვებისაგან, მისი მოსაზრებით, სრულიად არ არის საჭირო ზედმეტი ბიუროკრატიის დაწესება საგანმანათლებლო სივრცეში, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქტები, რომლებიც მოქმედებს უნივერსიტეტში იყოს ძალიან ზოგადი ხასიათის და იმ ადამიანის განმარტებაზე დამოკიდებული ვინც იმ პერიოდში ამა თუ იმ საპასუხისმგებლო მენეჯმენტის პოზიციაზე მუშაობს, მაგ., შეფასების წესი, რაზეც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ისაუბრა, ნამდვილად არსებობს, ეს არის რექტორის აქტით დამტკიცებული, მაგრამ, როდესაც აქტში მოცემულია ფრაზა, რომ კონკრეტული კომისია პასუხისმგებელია პროგრამის სწავლის შედეგების ან განხორციელებული აქტივობების პერიოდულად შეფასებაზე, საუბარი იყო, რომ დაზუსტებულიყო თუ რას გულისხმობდა „პერიოდულობა“ ან თუნდაც მექანიზმი თუ ვინ განსაზღვრავდა „პერიოდულობას“, რადგან შემდეგი საკითხი ინტერვიუებში პრობლემის სახით ნამდვილად გამოიკვეთა, სრულიად განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ სასწავლო კომპონენტის, სწავლის შედეგების პერიოდულად შეფასების თაობაზე სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს, ნაწილის მოსაზრებით შეფასება ხდებოდა ყოველი აკადემიური სემესტრის ბოლოს, ხოლო მეორე ნაწილის მოსაზრებით წელიწადში ერთხელ ხორციელდებოდა შეფასება. სტუდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა მსგავს შეფასებაში. ცხადია ეს იყო შერჩეული კონტიგენტი, ვისთანაც სტუდენტების ნაწილში განხორციელდა ინტერვიუ, რაც არ ნიშნავს უტყუარ მტკიცებულებას იმისა, რომ დანარჩენი სტუდენტები მსგავს შეფასებებში არ მონაწილეობდნენ, შესაბამისად მექანიზმს რაც შეეხება, სწორედ ეს იყო ნაგულისხმევი, რაც რჩევის სახით იყო გაწერილი, რადგან დაწესებულების შიდა მენეჯმენტის საკითხია. მისი ინფორმაციით ასევე მიმდინარეობს აღნიშნულ საკითხზე მუშაობა, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პლატფორმის შექმნა, სადაც არა მხოლოდ ლექციები იქნება სტუდენტებისთვის გაელექტრონულებული და ავტომატიზებული, არამედ მენეჯმენტის სამუშაო პროცესებიც, თუნდაც გამოკითხვების ნაწილი, რომელიც განხორციელდება არა კითხვარების მეილზე გაგზავნით, ან არა პანდემიის პერიოდში ფურცელზე შემოხაზული პასუხებით, არამედ ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, სადაც ყველა სტუდენტს ექნებოდა საშუალება სურვილის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს გამოკითხვებში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, შალვა კელეპტრიშვილს.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, შალვა კელეპტრიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ მათ არ ჰყავთ კოლეგები სხვა უნივერსიტეტებში, შესაბამისად იყენებენ დამსაქმებელთა კითხვარს.

დაწესებულებამ მემორანდუმი დადო მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძველ უნივერსიტეტთან, ეს არის ფრაიბურგის სამთო აკადემია, რომელიც დაარსდა შუა საუკუნეებში, ისინი სექტემბერში ელოდებიან კოლეგებს, რასაც ჰქვია გარე შეფასება, რომ შეაფასონ პროგრამები და დაამყარონ კონტაქტები.
დამსაქმებლების შესახებ მან განაცხადა, რომ მოიცავენ მთელ სამთო მრეწველობის სფეროს, მათი პარტნიორები მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები არიან, ეს არის: გარემოს ეროვნული სააგენტო, კავკასიის სამთო ჯგუფი, ტყიბულის საქ. ნახშირი, არ-ემ-ჯი ჯგუფი, ჯორჯიან მარგანეცი ჭიათურა და სხვა. პარტნიორებთან ერთად დაწესებულება განათლების მთელ სპექტრს მოიცავს, დაწყებული პროფესიული მომზადების პროგრამიდან დამთავრებული დოქტორანტურის პროგრამით. იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად არიან ჩართულნი მან განაცხადა, რომ არ-ემ-ჯი-ს გენერალური დირექტორი მათი დოქტორანტია, მათ სადოქტორო პროგრამა დაამთავრა და ძალიან კარგად არის გარკვეული სხვადასხვა პრობლემებში.
სამაგისტრო ნაშრომების შესახებ მისი განცხადებით, მადლობელია, რადგან ძალიან არ გაკიცხა საბჭოს წევრმა და დაადასტურა, რომ ნაკლულია აღნიშნული სამაგისტრო, წარმოუდგენელია ნაშრომი ლიტერატურის გარეშე, ნაშრომი იყო ნამახვანჰესზე, საქართველოს ყველაზე დიდი პრობლემა, მაგისტრანტმა უამრავი ლიტერატურა გამოიყენა, თვითონ მუშაობდა ნამახვანჰესზე სამი წლის წინ, იმ კომპანიაში, რომელიც კვლევებს აწარმოებდა და საინჟინრო გეოლოგიურ ანალიზს აკეთებდა. სამაგისტრო ნაშრომები ზოგადად წარმოდგენილია პრინციპით, რომ ეჩვენებინათ მთელი სპექტრი, რასაც ჰქვია სამთო და გეო ინჟინერია, ეს არის სამთო საქმე და გეო ინჟინერია, რასაც მოიცავს დეტალური სფერო „0724 სამთო საქმე და მოპოვება“, 11 ივნისს ჰქონდათ ჩართვა გეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე, იგივე არის აღნიშნულ პროგრამაზეც, ლიტერატურის პრობლემა, რაც მათთვის ახალია, მაგ., არის თემა მადნეულის გამამდიდრებელი სისტემების სრულყოფა, უცხოელებს არ უკვლევიათ, დაწესებულებას მეტი საშუალება არ აქვს, იგივე, რაც ითქვა გეოლოგიის პროგრამაზე, ეს არის მათთვის უახლესი მასალა, ყოველ წელს ასეთი კვლევები არ ტარდება, სტუდენტები კი სიახლეებს ნერგავენ ძველი კვლევებიდან, რის შედეგადაც სამთო საქმისა და მოპოვების მთელი სპექტრი მოცულია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ ხარისხის სამსახურის ერთ-ერთი საზრუნავია სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრა სწავლის საფეხურთან. დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით შესაბამისობაშია, თუმცა შესაძლებელია ჩახედონ კონკრეტულ ჩანაწერს და შემდეგ სპეციალისტების დონეზე მიიღებენ განმარტებას.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია და ეჭვი არ ეპარებოდა სპეციალისტების კომპეტენციებში, უბრალოდ საუბარი იყო ფორმულირებებზე, წარმოდგენილი ფორმულირებებიდან ასახულია მიზანში, მაგრამ სწავლის შედეგების ფორმულირება პროგრამასა და სილაბუსებში არ არის გამოკვეთილი. „განიხილავს“, „ადგენს“ არსად არ ჩანს, მკაფიოდ არ იკვეთება ან ინოვაციური მეთოდების/ტექნოლოგიების გამოყენება შეუძლია თუ არა ან ახალი ცოდნის გენერირება.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ასეთ პროგრამებთან მიმართებით სიტყვების წყობის დონეზე ძალიან მარტივია იმ გამოყენებული ტერმინებით შეავსოს, რაც კანონშია მითითებული, ეს არის ის, რაც დარგის სპეციფიკით მაგისტრანტმა უნდა გააკეთოს და რასაც რეალურად აღწევენ, ჩანაწერი კი არ არის ბაკალავრის დონის და ვერცერთი ბაკალავრი ვერ გააკეთებს ჩამოთვლილი სწავლის შედეგებიდან რომელიმეს სრულყოფილად. ის, რომ დაიანგარიშოს რთულ სამთო ელექტრონულ პირობებში წიაღისეულის მიწისქვეშა და ღია წესით დამუშავების პირობებში ცალკეული პროცესების პარამეტრები, სასარგებლო წიაღისეულის საბადოების მარაგები, განსაზღვროს საშიში გეოლოგიური ფაქტორები და ა.შ., შეუძლებელია ბაკალავრმა შეძლოს. ამასთანავე პირველი, განმარტავს ამ ყველაფერს, უნარებთან მიმართებაში უკვე პრაქტიკაში გამოყენების ნაწილში შეუძლებელია, რაც შეეხება სპეციფიკას შესაძლებელია სპეციალისტის განმარტება მოისმინონ თუ რა არის ბაკალავრის ნაწილი და რა მაგისტრის, რამაც მისცა შესაძლებლობა

დაწესებულებასაც, რომ ერთიან ჭრილში განეხილათ. ამასთანავე დაწესებულებას ფორმულირების დონეზეც მიაჩნია, რომ ამ სპეციფიკის პროგრამისათვის ასე უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში წარდგენილია 70 პროგრამა, სხვადასხვა სპეციფიკის პროგრამები ერთიდაიგივე რეცეპტით იქნებოდა წარმოდგენილი, რაც ვერ ხდება.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, შალვა კელეპტრიშვილმა განაცხადა, რომ მას შეეძლო აეღო პასუხისმგებლობა მისი გამოცდილებიდან გამომდინარე, რეალურად მათ სამივე საფეხურის პროგრამა აქვთ წარდგენილი სააკრედიტაციოდ და თუკი კლასტერულად ნახავდნენ, როდესაც აკეთებდნენ პროგრამას დალაგებული ჰქონდათ სამივე საფეხური და აკეთებდნენ გამიჯვნას, ბაკალავრი - ფართო და ზოგადი, ღრმა და ინოვაციური, სამაგისტრო საფეხურზე კი ყველაფერი არის მაღალი დონის, როდესაც წერია „გაიანგარიშებს“, იგულისხმება რომ ატარებს კვლევებს, ეს არის მისი ფაკულტეტის პროგრამა, ჩამოყალიბებისას სამივე პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად იყო და ახდენდნენ გამიჯვნას.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ პასუხი მისაღებია, თუმცა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით თუ დააკვირდებიან რა სწავლებისა და შეფასების მეთოდები უწერიათ ხშირ შემთხვევაში შეაფერხებს მითითებულ უნარებზე გასვლას, რადგან სტანდარტული შეფასების მეთოდებია, წერითი, ზეპირი გამოკითხვა, ტესტური, მარტივი დავალება და ის შეფასების პრინციპი რაც გამოყენებული აქვთ ძალიან მარტივად, რომ შეხედავენ გამოცდილების საფუძველზე დააფიქსირებენ, რომ შესაძლებელია არავალიდური იყოს.
17:07 საათზე საბჭო დატოვა ნინო ნასარიძემ.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აბსოლუტურად კვალიფიციურად იყო წარმოდგენილი შენიშვნები, თუმცა მას სურდა ესაუბრა იმ საკითხზე, რომელიც სამართლებრივ აქტებს ეხებოდა და აღნიშნა, რომ ეს არ ზემოქმედებს მიმდინარე პროცესზე კანონდარღვევის ან არასრულყოფილად განხორციელების ჭრილში.
ექსპერტმა, სოფიო უგრეხელიძემ დაადასტურა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ნათქვამი.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა მოიყვანა მაგალითი, რომ დებულებაში 180 კრედიტი, 26 თებერვლის მიმდინარე წლის აკადემიური საბჭოს დადგენილებაშიც დევს, რომ წერტილოვნად მოგვარდა კონკრეტული საკითხი, ვინაიდან კოდექსის ჩამოყალიბებას მართლაც სჭირდება რეორგანიზაციის დასრულება, პასუხისმგებელი სტრუქტურების მითითებიდან გამომდინარე, რაც შეეხება პროგრამის განხორციელების შემოწმებას, სილაბუსების ნაწილში აქვთ 6 თვეში ერთხელ, პროგრამის ნაწილში წელიწადში ერთხელ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს ექსპერტთან ვერ მივიდა Exel-ის დანართი, სადაც პერიოდულობაც განსაზღვრულია, ყველაზე კარგად თვითონ იცის, რომ ბევრი რაღაც არის გამოსასწორებელი და ასევე, დაადასტურა მოდიფიცირებული დოკუმენტების არსებობის აუცილებლობა, უბრალოდ ამ მიმართულებით ბევრი ურთიერთგადამფარავი დოკუმენტი არსებობდა საბჭოების დონეზე, პასუხისმდებელი სტრუქტურული ერთეულების დონეზე და მაქსიმალურად ხდება რეგულაციების გამარტივება საქმის გაიოლების კუთხით.
„ოპერაციათა მენეჯმენტთან“ დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ეს არის საკითხი, რომელიც არაერთი მიმართულებით არაერთ პროგრამაზე გამოიკვეთა, შესაბამისად მიმდინარეობს მისი მოდიფიცირება და ჯერჯერობით საბოლოო პროდუქტი არ აქვთ, ან წინაპირობის პრობლემაა, ან შინაარსის მოდიფიცირების, სპეციალისტები კი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მუშაობენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 17:12
დასრულების დრო: 17:3

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.2 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება; 2.1; 2.3 და 2.4 კომპონენტები ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; რის შედეგადაც მეორე სტანარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 4.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება; 5.2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება;
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
ა) რეკომენდირებულია თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგები იქნას წარმოდგენილი ცალ-ცალკე;
ბ) მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა აკადემიური წერის სტანდარტების შესახებ სასწავლო კომპონენტი გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს ცოდნა და უნარების სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების მიზნით;
გ) სასწავლო კურსში “ოპერაციული და საწარმოო მენეჯმენტი“ დაშვების წინაპირობა დაზუსტდეს, სავალდებულო ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან;
დ) სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას რეკომენდირებულია გამოყენებული იყოს უფრო თანამედროვე და ამასთან უცხოური (ინგლისურენოვანი) ლიტერატურაც;
ე) ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას გამოყენებული ლიტერატურის მითითებისა და მოყვანის ერთი და იგივე წესი;
ვ) რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
ზ) ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
თ) უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მარეგულირებელი, სავალდებულო ერთიანი შიდა აქტი, რომელიც დეტალურად აღწერს შეფასების განხორციელების პროცესს;

რჩევები:

ა) სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ისეთი მექანიზმი იქნება პროგრამაში გათვალისწინებული, როგორიცაა უცხოელი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მოწვევა და მათი ჩართვა სწავლებასა და კვლევით საქმიანობაში;

ბ) სასურველია ჩატარდეს შრომის ბაზრის სიღმისეული კვლევა კურსდამთავრებულთა შრომითი უნარების დაზუსტებისათვის;

გ) სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით - კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უსდ-მ განსაზღვროს სტრატეგია, რომლის თანახმად დააინტერესებს/წაახალისებს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს, მაქსიმალურად მოახდინონ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება. ამ სტრატეგიის განვითარებით, მაგისტრანტებს ექნებათ შესაძლებლობა, კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ; ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებს, სწავლის პროცესში, ასევე კვლევითი საქმიანობის დროს, ჰქონდეთ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან ჰქონდეთ მჭიდრო კომუნიკაციის შესაძლებლობა; დაიგეგმოს საჯარო ლექციები/დისკუსიები პარტნიორი 8 საზღვარგარეთის უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის მონაწილეობით; შესაძლებელია მათი მოწვევა პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომების დამუშავების ეტაპზე - თანახელმძღვანელებად - განსაკუთრებით, უკვე კარგად ათვისებული ონლაინ სწავლების შესაბამისი პლათფორმების ინტეგრირებით; პარალელურად, სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა - გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება;

დ) სასურველია, უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე დადგინდეს წესი, რომლის მიხედვით, განისაზღვრება რაოდენობრივი კვოტა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს ერთდროულად, რამდენი სამაგისტრო კვლევის ხელმძღვანელობის უფლება შეიძლება ჰქონდეს;

ე) დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ცნობიერების ამაღლება კვლევითი ნაშრომის შესასრულებლად აკადემიური წერის სტანდარტებისა და პლაგიატის თაობაზე;

ვ) დაწესებულებამ პერსონალის აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების კომპონენტში უნდა გაითვალისწინოს სტუდენტთა რაოდენობრივი კვოტა, რომელთა კვლევითი ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა შეუძლია მასთან დასაქმებულ პერსონალს;

ზ) მიზანშეწონილია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ელექტრონული სერვისების განვითარება, როგორც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასევე დაწესებულებისა თუ ფაკულტეტის ადმინისტრაციის სამუშაო პროცესის მენეჯმენტის უზრუნველყოფის მიზნით;

თ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტების მეტი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესახებ;

ი) მიზანშეწონილია, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, შესაბამისმა პასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა განახორციელოს დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი აქტების კოდიფიცირება, მასში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რათა დაინტერესებულ პირებს ერთიან აქტში ჰქონდეთ მოქმედი მარეგულირებელი ნორმების გაცნობის შესაძლებლობა;
კ) მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა შიდა რეგულაციის საბოლოო, მოქმედი რედაქცია;
ლ) პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გარე შეფასების პროცედურებისა, განახორციელოს პროგრამის გარე შეფასება ისეთი პროცედურების მეშვეობით, როგორიც არის განმავითარებელი შეფასება, მოწვეული ექსპერტების მიერ პროგრამების შეფასება და დასახოს სამოქმედო გეგმა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებითსათვის;
მ) აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობა შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის;
ნ) უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა პირს.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	17.11.2011, გადაწყვეტილება №98
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ფიზიკა, ბიოლოგია, ეკოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	გარემოსმცოდნეობა, 0521
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლის №3, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის G კორპუსი, 0162 თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ელენე ჟურავლოვამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ციცინო თურქაძე მიესალმა საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასება განხორციელდა 24, 25, 26 მარტს, იყო ძალიან ნაყოფიერი ვიზიტი, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პროგრამას, რომელიც მუდმივად ვითარდება, აკრედიტებულია 2011 წლიდან, თუმცა აკრედიტებული იყო ბიოლოგიისა და ეკოლოგიის ერთიანი ქუდის ქვეშ, შემდეგ კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს ცვლილებისა და დროის გამოძახილიდან გამომდინარე პროგრამა გაიყო, ცალკე ჩამოყალიბდა ბიოლოგისა და ეკოლოგიის მიმართულებები, შესაბამისად ეკოლოგიის მიმართულებას ცალკე ხელმძღვანელი დაენიშნა. დასკვნაშიც არის მითითებული რეაკრედიტაციისას მნიშვნელოვანი

მიღწევები და პროგრესი, ზოგადად, მთლიანი სურვილი უნივერსიტეტისა გააძლიეროს აღნიშნული მიმართულება, ასევე პერსონალი, რომელიც ყოველწლიურად ძლიერდებოდა და ამ მხრივ იყენებდა სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს, ასევე, მას გააჩნია ძლიერი ბაზა, კვლევითი ინსტიტუტების სახით, რომლებსაც ძალიან კარგი თანამშრომლობა აქვს ფაკულტეტთან და მის ქვეშ ფუნქციონორებს, მათი ბაზები, თუ სამეცნიერო პერსონალი სრულად არის გამოყენებული პროგრამაში, ამ კუთხით აქვთ საერთაშორისო თანამშრომლობა სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, კვლევით ინსტიტუტებთან და მისი სრული გამოყენება ხდება საბაკალავრო განათლებაში, როგორც პერსონალის გადამზადება, ასევე კვლევებში ჩართულობის კუთხით.

მეორე სტანდარტი შეფასებულია, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რადგან აღნიშნული საკითხი დგას შემდეგნაირად, ექსპერტთა ჯგუფი ნაწილობრივ იზიარებს დაწესებულების წარმომადგენელთა პოზიციას, პროგრამა მართლაც ძლიერია, ჰყავს ძალიან ძლიერი გუნდი და ხელმძღვანელი, რომელიც ამ კუთხით სტანდარტის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, ასევე პროგრამის შემუშავებისას, სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას ინსტიტუციამ იხელმძღვანელა მთელი რიგი დოკუმენტაციით, საერთაშორისო სტანდარტებით და ა.შ., რაც მათ გამოკვეთეს იყო დიდი ბრიტანეთის სტანდარტი ბიოლოგიური მეცნიერებისათვის და მათ შორის ეკოლოგიისათვის, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბებული/გააზრებული აქვთ თავიანთი სწავლის შედეგები, მაგრამ რა მოლოდინიც ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა, როდესაც ნახეს მიზნები და პროგრამაში გააზრებული აღნიშნული საკითხი, უფრო მეტი აქცენტირება იყო გარემოს დაბინძურებაზე და გეოქიმიურ ციკლებზე, რომელიც ერთ-ერთი განმსაზღვრელია ეკოლოგიის პროგრამისათვის, ექსპერტთა ჯგუფს კარგად ესმის პროგრამის მიმართება, რომ ამ კუთხით სამაგისტრო/სადოქტორო საფეხურებზე პროგრამა ავითარებს ცოცხალი ბუნების კუთხით კვლევებს, თუმცა თანამედროვე გამოძახილია ეკოლოგიასა და ბიოლოგიას შორის განსხვავება, მათ შორის ეკოლოგიასთან ის, რომ გარემოსა და ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთქმედება განიხილება ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის, გარემოს დაბინძურების საკითხიდან გამომდინარე, სწორედ აქედან გამომდინარეობს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაც, რასაც მათი მოსაზრებით პროგრამა მოკლე დროში აღმოფხვრის/შეასრულებს და ამისათვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობები აქვთ, რომ სწავლის შედეგებში აისახოს გეოქიმიური დაბინძურების და ა.შ. ციკლები, შესაბამის კურსდამთავრებულებს აქვთ აღნიშნული ციკლები/კომპეტენციები, რაც გამყარებულია სასწავლო კურსებით, რომელთა გაძლიერებაც შეიძლება, ამ კუთხით ეს იყო რეკომენდაციები და ამ მხრივ ზოგიერთ სასწავლო კურსში, ექსპერტთა ჯგუფმა ნახა ტექნიკური ბაზა, შესაძლებლობები, ჰქონდათ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან, რომლებიც შერჩეულნი იყვნენ წინასწარ მათი კურსის შინაარსის სფეციფიკიდან გამომდინარე და სპეციალურად იქნა მოწვეული ინტერვიურებაზე. რეკომენდაცია, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსში უნდა გაიზარდოს ლაბორატორიული სამუშაოები, რისი შესაძლებლობაც უნივერსიტეტს აქვს მატერიალურ ტექნიკური ბაზიდან გამომდინარე და დაკავშირებულია კურსის სწავლის შედეგებთან, რომელსაც კურსს გარკვეულწილად დეკლარირებს თავისთავად ეს შენიშვნები ასახულ იქნა რეკომენდაციებში და გარკვეული საკითხი, რომელიც ეხება სილაბუსით წარმოდგენილი სწავლის შედეგების დადასტურებასა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის განსაზღვრას. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ბაკალავრიატის პროგრამასთან მიმართებით მეორე სტანდარტის ქვეშ არის გამოტანილი, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ეს არ შეეხება ყველა სილაბუსს, მაგრამ გარკვეული სილაბუსებისთვის ეს არის გამოწვევა, რომ აისახოს და დასკვნაშიც შესაბამისად არის აღწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი, დავით თარხნიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის

თავმჯდომარეს მაღალი შეფასებისთვის და სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ნინო ჟვანიას.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ნინო ჟვანია მიესალმა საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს. მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებასა და ვიზიტისთვის, რადგან დაწესებულებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მათი შეფასება და იმის დაფიქსირება, რომ პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტებს, რადგან დაწესებულება მუდმივად ზრუნავს პროგრამების განვითარებაზე, ამასთანავე ეკოლოგია მათი პრიორიტეტი პროგრამაა, როგორც Basic Science, სტრატეგიული პროგრამაა დაწესებულებისთვის, ინვესტირებულია მნიშვნელოვანი რესურსები, კვლევითი პოტენციალი და შედეგები, რაც აღინიშნა კიდეც ექსპერტთა დასკვნაში. მან პირველ სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეროვნული კლასიფიკატორი, სადაც განსაზღვრულია ეკოლოგიის მახასიათებელი, საკმაოდ მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ამბობს, რომ ეკოლოგია შეისწავლის ორგანიზმების ერთმანეთთან და გარემოსთან ურთიერთქმედებას, როდესაც დაწესებულება აკეთებდა პროგრამებს, ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი მარეგულირებელი წესით, მათი პროგრამის შინაარსი, ისევე როგორც მიზნები, შედეგები და სტრუქტურა ამას ეყრდნობა, კლასიფიკატორი ასევე ითვალისწინებს პრიორიტეტულად კომპეტენციებს დაბინძურებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს სხვა კვალიფიკაციისა და სხვა მიმართულების სფეროა, კერძოდ ეს არის გარემოს დაცვის ტექნოლოგია, სადაც პირდაპირ განმარტებაში წერია, „შეისწავლის გარემოს დამაბინძურებელი ნივთიერებებისა და ნარჩენების მინიმუმამდე შემცირების, ასევე გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების პროცესს“, ანუ ადგილობრივი კლასიფიკატორი ადგენს საკმაოდ მკაფიო ზღვარს თუ რა შეიძლება ისწავლებოდეს ეკოლოგიაში და რა გარემოს ტექნოლოგიებში, დაწესებულება გარდა მისთვის სავალდებულო დოკუმენტებისა გაეცნო საერთაშორისო პრაქტიკას, მათ პრიორიტეტებს, კერძოდ ბაკალავრიატში გამოიყენეს QAA-ს მახასიათებელი, რაზეც საუბრობდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თუმცა ეს არ არის სავალდებულო მახასიათებელი უნივერსიტეტებისთვის, თავად ეს დოკუმენტი ამბობს, რომ არის სარეკომენდაციო ხასიათის, მითუმეტეს არ განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგებს, მას სურდა მკაფიოდ განესაზღვრა რა შედეგებზე იყო საუბარი, ეს დოკუმენტი განსაზღვრავს კომპეტენციებს თუ რა არის შესაძლებელი გათვალისწინებული იყოს საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, მესამე ასპექტი, რაც უნდა აღინიშნოს არის ის, რომ ყველა უნივერსიტეტი, თუ არის არა რეგულირებადი პროფესია, თუმცა მაშინაც კი, პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს განსაზღვრავს თავისი კვლევითი დღის წესრიგიდან გამომდინარე რაც მას გააჩნია, დაბინძურება შესაძლებელია იყოს პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა მათი ეკოლოგიის კვლევები და ეკოლოგიის მიმართულებით არსებული დღის წესრიგი არ ითვალისწინებს ასეთ მნიშვნელოვან წილს დაბინძურების შესწავლაში და ეკოლოგიის მიმართულებით გააჩნია კვლევის პრიორიტეტი პროგრამის სწავლის შედეგებში, მას არ უნდოდა საბჭოს წევრებს ეფიქრათ, რომ პროგრამა არ ასწავლის დაბინძურებას ან ბიოგეოქმიურ ნივთიერებათა მიმოქცევებს, ეს ასე არ არის ეს უნარები გათვალისწინებულია სხვადასხვა კურსებში, თუმცა არ მიაჩნია მიზანშეწონილად, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული აღნიშნული პრიორიტეტები, რადგან პროგრამას არ აქვს ეს კომპონენტები ძლიერი, ვინაიდან არ არის პრიორიტეტები, ექსპერტები „რეფერენსს“ აკეთებენ პროგრამის მიზანზე, სადაც მითითებულია, რომ პროგრამა სტუდენტს ასწავლის გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს და მათ გადაჭრის გზებს, გარემოსდაცვითი პრობლემები არ არის მხოლოდ დაბინძურების საკითხი, არის ის საკითხები, რაც შედის ამ სფეროში, შესაბამისად პროგრამა განსაზღვრავს და მიმართულია იმ მხარეს, რასაც იკვლევენ, რაშიც აქვთ ინვესტირება.
ფაკულტეტის დეკანმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით თარხნიშვილმა განაცხადა, რომ მას სურდა გაემიჯნა ორი საკითხი, ბიოგეოქიმია და გარემოს დაბინძურება, ბიოგეოქიმიური ციკლები არ არის გათვალისწინებული კლასიფიკატორით, მაგრამ არის ბრიტანულ ჩარჩოში, ეკოლოგს მოეთხოვება და შესაბამის კურსებში არის მნიშვნელოვანი წილი ეკოლოგიაში,

რომელსაც პროგრამის ხელმძღვანელი თვითონ ასწავლის, იქ არის ნაწილი, რომელიც მიძღვნილია ეკოსისტემაში ენერგიისა და ნივთიერების ბრუნვა, სადაც დეტალურად განიხილება აღნიშნული საკითხი, ასევე ჯგუფურ დავალებაში აქვთ საშუალება შეადარონ და ჩასვან ცალკეული სახეობები ცხოველების, მცენარეების, სოკოების, მათი ფუნქციების მიხედვით სად უჭირავთ ადგილი ნივთიერებისა და ენერგიის გადატანაში, ასევე არის არჩევითი საგნები ამ თემატიკაზე, სადაც ისწავლება უფრო ჩაღრმავებულად. დაწესებულებას აქვს 2 დონე, ერთი აუცილებელი ცოდნა და მეორე ჩაღრმავებული, მეორეს შემთხვევაში უნივერსიტეტი არის კვლევითი დაწესებულება და ცდილობენ ბაკალავრიატის პირველივე წლიდან ჰქონდეთ საშუალება ჩაერთონ მიმდინარე კვლევებში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მესამე ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის შეფასებასა და მეთოდურ მიდგომებს არ ავალდებულებს უნივერსიტეტს დააწესოს კონკრეტული ზღვრები, კონკრეტული კომპონენტებისთვის, არც უნივერსიტეტში არ არის შიდა რეგულაცია, რომ ეს სავალდებულო, აუცილებლად შესასრულებელია, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ლექტორებს/პროფესორებს ჰქონდეთ შესაძლებლობა კურსები ააგონ თავისი მიზნებიდან/კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისად ამ ნაწლში არ ეთანხმებიან ექსპერტებს, რადგან პროგრამა ითვალისწინებს ცოდნის/კომპეტენციების შეფასებას, სხვა შემთხვევაში სტუდენტი ვერ დაამთავრებს სწავლას თუ არ შეასრულა ლაბორატორიული სამუშაოები, მნიშნველოვანი წილი აღნიშნულ კურსში სწორედ ამას ეკუთვნის.

პრაქტიკული სამუშაოების გაზრდის შესახებ მან განაცხადა, რომ როდესაც პროგრამა გავიდა რეაკრედიტაციაზე, მანამდე ყოველთვის აქცევდნენ ყურადღებას, რომ საკმარისი რაოდენობის ლაბორატორიული სამუშაოები ყოფილიყო გათვალისწინებული, მაგრამ აღნიშნულ პროგრამაში ინტეგრირებულია ლაბორატორიული სამუშაოები და საველე გასვლები კურსებში, რაც არის ყველაზე სწორი მიდგომა, იმ მოცემულობით რა მოცემულობითაც გათვალისწინებულია, პროგრამის მიზანში წერია რომ უნდა ჰქონდეს ბაზისური უნარები ლაბორატორიული და საბაზისო სამუშაოებისა, რასაც აკმაყოფილებენ იმ მოცულობით, რაც სჭირდება ბაკალავრს, ასევე აკეთებენ მონიტორინგს იმის დასადგენად თუ რამდენად საკმარისია აღნიშნული კომპონენტი. ეს TalkDown-დან არ არის განსაზღვრული თუ რა მოცულობა უნდა იყოს განსაზღვრული ლაბორატორიისა და ველისთვის, კორექტირება, შემცირება ან გაზრდა დამოკიდებულია ამაზე, განსაზღვრული რაოდენობა ლაბებისა და ველის გამომდინარეობს პროგრამის მიზნებსა და შედეგებიდან.

5.3 კომპონენტში გაწერილ რეკომენდაციასთან (პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში გამოყენებული გამოკითხვების ანალიზის დოკუმენტებში აისახოს ძირითადი მიგნებები და რჩევები/რეკომენდაციები, რაც იქნება შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურის/ პირის შემდგომი ქმედებების ინიცირების საფუძველი) დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ეს მიდგომა არსებობს, ხარისხის სამსახური იმიტომ არსებობს, რომ დაეხმაროს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფებს გაუმჯობესებაში. მას სურდა აეხსნა სპეციფიკა იმ ხარისხის მექანიზმების, რომელიც არსებობდა, თუ საუბარია შედეგზე დაფუძნებულ ხარისხის მექანიზმებზე ცოტა წარმოუდგენელია, რომ ერთი სამსახური, ხარისხის სამსახური აკეთებდეს რეკომენდაციებს სხვადასხვა პროგრამებისთვის, თუ რა უნდა გააუმჯობესონ, ყველა სფეროს თავისი სპეციფიკა აქვს და ხარისხის სამსახურიც ამის მოწმეა, რადგან ყველა მონაცემი გროვდება მათთან, ამასთანვე ერთიდაიგივე მონაცემებს სხვადასხვა მიმართულებისთვის სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, სტუდენტების მაჩვენებლები, ინდიკატორების, მიღების მაჩვენებლები და სხვა, ამიტომ შეუძლებელია ერთი სამსახური, რომელიც არ არის აუცილებელი პროფილურად იყოს ეკოლოგიაზე ან სოციოლოგიაზე ორიენტირებული, განსაზღვრავდეს მონაცემების საფუძველზე რა უნდა გააუმჯობესოს პროგრამამ, ეს არის პროგრამების პრიორიტეტი, ეს არის საერთაშორისო პრაქტიკა, ეს არის შედეგზე დაფუძნებული ხარისხის სისტემა, ძალიან რთულია ხარისხის სამსახურმა მისცეს რეკომენდაცია პროგრამას, რომელსაც თავისი ტენდენციები აქვს, მას მიაჩნდა, რომ მათ უნდა მიაწოდონ პროგრამას

შეფასების შედეგები და შემდეგ მოხდეს უკუკავშირი თუ რა უნდა გაუმჯობესდეს, რა ჩაითვალოს პრიორიტეტულად და რა ცვლილებები დაიგეგმოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ელიზბარ ელიზბარაშვილს.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ძალიან ბევრი ისაუბრეს ნივთიერებებსა და მათ წრებრუნვასთან დაკავშირებულ აუცილებელ ფაქტორებზე, პროგრამა, ჩართული ადამიანებიდან გამომდინარე, უფრო ბიოლოგიური სისტემების ეკოლოგიურ საკითხებზეა ორიენტირებული, რაც მისაღებია, მაგრამ ქიმიური ნივთიერებების რაოდენობა და კონცენტრაცია პირდაპირპროპორციულადაა დაკავშირებული ბიოლოგიური სისტემების რაოდენობასა და არსებობაზე, ამის ფონზე მას გაუჩნდა კითხვა, რადგან სასწავლო კურსში ისწავლება მხოლოდ ზოგადი ქიმიის კურსი, რაც სწორიც არის, თუმცა მისი მიზანი არის არაორგანული ქიმიის საკითხები, მაგრამ ის არის საფუძველი შემდგომში ბიოქიმიის, რომელიც ასევე ძალიან საჭირო კურსია, მაგრამ ბიოქიმიის საკითხები, რასაც ასწავლიან არის ნახშირწყლების ქიმია, ცილების სინთეზი. დაინტერესდა თუ როგორ გადადის არაორგანული ქიმიიდან ისე, რომ საერთოდ არ აქვს გავლილი ორგანული ქიმია, რამდენად დაძლევადია სტუდენტებისთვის.

18:35 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნინო ნასარიძე.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს,
საბჭოს წევრი, ნინო იმნაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან ქართულენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისი კითხვა ეხებოდა 4.3 კომპონენტში გაწერილ რჩევასა და რეკომენდაციას, მისი მოსაზრებით ტექნიკური ხარვეზია, რადგან კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია. დაინტერესდა მოხსნეს თუ არა აღნიშნული რეკომენდაცია და თუ არ მოხსნეს, პროგრამა არის თუ არა უზრუნველყოფილი შესაბამისი რესურსებით, ამ შემთხვევაში ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან განაცხადა, რომ მის მიერ დასმული კითხვა შეეხებოდა სამივე პროგრამას, 1. შრომის ბაზრის კვლევა, სამი რესპოდენტით სამი პროგრამის გამოკვლევა, მან არარეალურად მიაჩნია, თანაც სამი განსხვავებული, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა, მისთვის ცნობილია დაწესებულების მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც არ არის სწორი, შრომის ბაზრის კვლევა უნდა ჩატარდეს უფრო სიღრმისეულად. 2. ბიუჯეტის საკითხი, ის რაც წარდგენილია არანაირ შესაძლებლობას არ იძლევა საბჭომ გამოიტანოს დასკვნა პროგრამის ფინანსური მდგრადობის შესახებ, ბიუჯეტი სხვადასხვანაირად უნდა დაიწეროს, რადგან სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტში არის სადოქტორო კვლევების/სტატიების დაფინანსება, რაც რა თქმა უნდა არ იქნება საბაკალავრო პროგრამაში, აბსოლუტურად არ არის აუცილებელი თავისი ხარჯებით ხდებოდეს დაფინანსება, შეიძლება უნივერსიტეტს პრიორიტეტულად მიაჩნდეს პროგრამა და სხვა წყაროდან აფინანსებდეს, მაგრამ უნდა ჩანდეს ეს წყარო.
კონკრეტულად საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით მან განაცხადა, რომ ბიოლოგიის და ა.შ. სილაბუსებს გაეცნო, მან ნახა სტატისტიკის სილაბუსი, რომელსაც არ აქვს წინაპირობა, როდესაც კურსის სილაბუსს ჩახედა, მოეჩვენა, რომ უმაღლესი მათემატიკის რაღაც ნაწილები უნდა სცოდნოდა სტუდენტს, მისი მოსაზრებით რთულია სტუდენტმა წინაპირობის გარეშე დაძლიოს აღნიშნული კურსი, თანაც კურსის ლიტერატურაში წერია სხვადასხვა კვლევების მონაცემთა ბაზები, რაც აბსოლუტურად გაუგებარი ჩანაწერია, არ უნდა ეწეროს სხვადასხვა კვლევების, უნდა ეწეროს კონკრეტული კვლევა და რა მონაცემთა ბაზებზეა საუბარი.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გაიოზ ფარცხალაძეს.

საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან განაცხადა, რომ გადახედა სილაბუსებს და იყო „ბუნებისმეტყველების მათემატიკური მეთოდები“, რომელიც მათემატიკაა, ვექტორული ალგებრა, დეტერმინანტების თეორია და სხვა, ყველაფერი არის შეყვანილი, შესაძლებელია ლექტორმა აუხსნას სტუდენტებს, მაგრამ რამდენად არის დაძლევადი ერთ სემესტრში, რადგან საბჭოს წევრის უნივერსიტეტი ყოველთვის ცდილობს გადაანაწილოს სხვადსხვა სემესტრში, რადგან გასაგები იყოს სტუდენტსთვის, თუმცა რესურსი დიდია. შემდეგ სტატისტიკა მოყვება, რომელიც ასევე მათემატიკაა, შესაძლებელი იყო გაეერთიანებინათ მოცემული კურსები და 2 სემესტრში წაეკითხათ.

იგი ასევე დაინტერესდა სათაურით „ბუნებისმეტყველების მათემატიკური მეთოდები“ უმაღლესი მათემატიკა არის თუ არა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გაიანე სიმონიას.

საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან განაცხადა, რომ მოსწონს ასეთი პროგრამები, რომლებიც განიხილავენ ეკოსისტემას, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არ არის სპეციალისტი მოეწონა და არ შეეძლო არ აღენიშნა. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე შესაძლებელია ყოფილიყო დაბინძურებაც, მაგრამ მას ასე არ აღუქვამს, რომ დამოკიდებულია ეკოსისტემების შესწავლაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ რადგან დიდწილად აქვთ ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რაც სწორია, რადგან სასწავლო ლიტერატურა ვერცერთ დარგში ვერ ასწრებს ადაპტირებას, რაც ხდება საერთაშორისო დონეზე და შესაბამისად ინგლისურენოვანი ლიტერატურა უნდა დომინირებდეს. იგი დაინტერესდა რამდენად ადეკვატურია ენის შესწავლა/ცოდნა აღნიშნული სახელმძღვანელოების ათვისებისათვის, გაგებისა და გააზრებისთვის, რადგან რომ ნახა სილაბუსები საკმაოდ ვრცელია ინგლისურენოვანი კურსი და დაინტერესდა რამდენად შეესაბამება ინგლისური ენის მოთხოვნას, როგორ ახერხებენ, რომ სტუდენტებმა სრულყოფილად აითვისონ ლიტერატურა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ციცინო თურქაძეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციცინო თურქაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს პროგრამა ძალიან მოსწონს, აქედან გამომდინარე სწორედ პროგრამის გაუმჯობესებისკენ იყო მიმართული მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები. გარკვეულ რეკომენდაციებს დაწესებულება არ დაეთანხმა.

საბჭოს წევრი, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რო მისთვის რთულია ზემოაღნიშნულში დათანხმება, რადგან თუ ეკოსისტემა ასე არ შეისწავლეს იქ მხოლოდ დაბინძურების ფაქტორი არ არის მნიშვნელოვანი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისთვის გასაგები იყო საბჭოს წევრის პოზიცია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ერთ-ერთ საკითხად განიხილა ის, რომ რასაც დაწესებულება აკეთებს - ასრულებს უმაღლეს დონეზე, მაგრამ ეს არის საბაკალავრო განათლება, სამაგისტრო/სადოქტორო დონეზე კიდევ შესაძლებელია, თუმცა ეს არის საბაზისო ეკოლოგიური განათლება და ამ კუთხით უნდა იყოს გამოკვეთილი საკითხები, სწავლის შედეგებშიც და პროგრამაშიც, ამის თქმის საფუძველი მისცა, იმან რომ, მაგ., პროგრამის ხელმძღვანელი სწავლობს შავი ზღვის ეკოლოგიას და ექსპერტისთვის ცნობილია მისი კვლევები დელფინებთან, ვეშაპებთან დაკავშირებით და ა.შ. დღეს შავ ზღვაში დელფინებისა თუ ა.შ. პრობლემა არის შავი ზღვის დაბინძურებიდან გამომდინარე. თუ სტუდენტმა საბაკალავრო დონეზე არ ისწავლა ორგანული ქიმიიდან სხვადასხვა დამაბინძურებლები, ისეთი ორგანული ნაერთები, რომლებიც ხვდებიან შავი ზღვაში, იწვევენ გარემოს დაბინძურებასა და მათი გარდაქმნებით რა შეიძლება მოხდეს ცოცხალ ორგანიზმში და ა.შ., ეს საკითხები მნიშვნელოვანია ბაკალავრიატისთვის, ექსპერტთა ჯგუფი არ ამბობდა, რომ პროგრამას არ ჰქონდა გათვალისწინებული, პირიქით და ის პასუხები რაც დაწესებულებისგან მიიღეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ სწორი იყო მათი რეკომენდაციები, მათ

დაწვრილებით შეისწავლეს QAA სარეკომენდაციოა, თუმცა მინიმალური სტანდარტია კურსდამთავრებულთათვის საბაკალავრო განათლებაში ასე აქვს წარმოდგენილი დიდ ბრიტანეთს და იქ ზუსტად 1-1-ზე იმეორებს დაწესებულება იმ მიდგომებს, რომლებიც სტანდარტშია, ერთადერთი რაც გამოტოვებულია სწავლის შედეგებში, ექსპერტთა ჯგუფსაც მოეჩვენა და დადარების შედეგად დარწმუნდნენ ამაში, ეს იყო გარემოს დაბინძურება და ბიოგეოქიმიური ციკლების შესახებ საუბარი.

ქართულენოვანი ლიტერატურის შესახებ მან განაცხადა, რომ ვიზიტის დროსაც, როდესაც აკადემიურ პერსონალთან ჰქონდათ შეხვედრამ მათაც თქვეს, რომ ეს მიმართება გარემოს დაბინძურების სწავლებისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, რაც შეეხება ქართულენოვანი ლიტერატურის საკითხს ეს არ არის ტექნიკური ხარვეზი, რეკომენდაციის პარალელურად უმაღლესი შეფასებაა, რადგან დაწესებულებას ქართულენოვანი ლიტერატურის გაუმჯობესება/განახლება იდენტიფიცირებული აქვს თავის გასაუმჯობესებელ მხარეში და მისი მოსაზრებით გარკვეულწილად წარმართავს სამუშაოებს, თუმცა კითხვაზე თუ როგორ წარმართავს და რა არის მისთვის პრიორიტეტები, ექსპერტთა ჯგუფმა პასუხი ვერ მიიღო და ამიტომ იქნა გაცემული აღნიშნული რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტის დეკანს, დავით თარხნიშვილს.

ფაკულტეტის დეკანმა, დავით თარხნიშვილმა განაცხადა, რომ რაც ეხებოდა ბიოგეოქიმიურ ციკლებს, რასაც იგი დაეთანხმა, ეს არის ის რასაც ჩარჩოში და პროგრამაში ასწავლიან, რაც შეეხება დაბინძურებას ეს ცალკე, უმნიშვნელოვანესი საკითხია, მაგრამ მინიმალური მოთხოვნების გარკვეული ჩარჩო მოთხოვნებში არ შედის, თუმცა არჩევით საგნებში არის წარდგენილი.

ქართულენოვან სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ილიას სახელწიფო უნივერსიტეტს აქვს ნათარგმნი მთელი რიგი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო, ბიოლოგიის შესახებ, რომლის თითო თავი ცალ-ცალკე სახელმძღვანელოებს წარმოადგენს, გადათარგმნილია და არსებობს ლიცენზირებული თარგმანი, რომელიც მიეწოდებათ სტუდენტებს ელექტრონული სახით. ასევე ნათარგმნია ეკოლოგიის სახელმძღვანელო, რჩეული თავები სხვადასხვა ავტორების სახელმძღვანელოებიდან და ამის გარდა სტუდენტებს ისინი მიეწოდება და არსებობს ბიბლიოთეკაში, სტუდენტებს ყოველთვის ეტვირთებათ პრეზენტაციები არგუსის სისტემაში, აქვთ წვდომა კონკრეტული ლექციების მასალებზე და ეს რომ არ მიიღონ მხედველობაში, ზუმში ჩატარებული ლექციების ჩანაწერები მალევე იტვირთება არგუსის სისტემაში.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა არის თუ არა ქართულენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფილი სასწავლო პროგრამა.

ფაკულტეტის დეკანმა უპასუხა, რომ ეს ასეა, თუმცა არის ისეთი ასპექტები, სადაც არის საკითხების უზარმაზარი სპექტრი, რომელთა შესახებ ქართულენოვანი ლიტერატურა უბრალოდ ვერ იქნება, მათ აქვთ რამდენიმე საგანი, სადაც ინგლისურენოვანი ლიტერატურა გამოიყენება, მაგრამ ეს არის ან დამატებითი ლიტერატურა ან საუბარია არჩევით საგნებზე.

დაბინძურების შესახებ მან განაცხადა, რომ არსებობს ბუნებრივი რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა, სადაც პრაქტიკული საკითხები უფრო ღრმად და დეტალურად შეისწავლება.

საბჭოს წევრის, ელიზბარ ელიზბარაშვილის კითხვასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ პროგრამაში სავალდებულო საგნებად არის არაორგანული ქიმია და ბიოქიმია, ასევე ეკოლოგიის საფუძვლები, სხვადასხვა დონეზე მიეწოდება სტუდენტს აღნიშნული ცოდნა, სამივე არის სავალდებულო საგანი განსხვავებით სხვა საგნებისაგან, ბიოგეოქიმიური ციკლები შეისწავლება დეტალურად. პირველ დონეზე შეისწავლება არაორგანული ქიმია, ბიოქიმიაში მათ მიეწოდებათ შესაბამისი ცოდნა და ისინი შემდეგ უკვე ამ ცოდნით აღჭურვილები გადიან ეკოლოგიაში ნივთიერებათა და ენერგიის ბრუნვას.

სამაგისტრო დონის სტატისტიკის კურსთან დაკავშირებით მისი განმარტებით აღნიშნულ კურსს თვითონ კითხულობს და ცხადია, რომ აუცილებელია უმაღლესი მათემატიკის ცოდნა და გულისხმობენ, რომ სტუდენტი საბუნებისმეტყველო მეცნიერების ბაკალავრს გააჩნია შესაბამისი დონის ცოდნა.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა აქვთ პროგრამას წინაპირობად, ეროვნულ გამოცდებზე თუ აქვთ მითითებული მათემატიკა.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ განცხადა, რომ მითითებული აქვთ კვალიფიკაცია, თუ რომელი სფეროდან შეიძლება მივიდეს სტუდენტი პროგრამაზე.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განმარტა საბჭოს თავმჯდომარის მიერ დასმული კითხვა, როდესაც აბარებს აბიტურიენტი აქვს თუ არა ვალდებულება ჩააბაროს მათემატიკა.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ეკოლოგიას ეს წინაპირობა არ გააჩნია, ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე, როგორც ეროვნული წესი კარნახობთ მიღება არის ისტორიით ან მათემატიკით.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა შეძლებს თუ არა გამოცდაჩაბარებული აბიტურიენტი დაძლიოს სტატისტიკა.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ სტატისტიკის საბაკალავრო კურსი არის ზოგადი მოდულის ნაწილი და სინქრონიზირებულია სხვადასხვა ფაკულტეტზე, სხვადსხვა დარგებისთვის, ასწავლის საბაზო სტატისტიკას, რომელიც იკითხება ზოგადი მოდულის ფარგლებში ყველა ფაკულტეტზე, არის ერთი კურიკულუმი, თუ გადახედავენ კურიკულუმს იწყება ძალიან საბაზო უნარებიდან, როგორიცაა აღწერითი სტატისტიკა, განაწილება და სხვა. სკოლის პროგრამა საკმარისია, რომ დაიწყოს ზოგადი მოდულის კურსი, ამიტომ რაიმე საჭიროების წინა კურსის არ არის, მაშინ მოუწევდათ სკოლის დონის კურსების შეთავაზება და თქვეს კიდეც, რომ აღნიშნული კურსი დიდიხანია მუშაობს ზოგადი მოდულის ფარგლებში. აღნიშნული კურსი იყენებს ბაზებს, რომლებიც ცვალებადია და სხვადსხვა სემესტრში შესაძლებელია სხვადასხვა ბაზები იყოს განხილული, იმის მიხედვით თუ რომელი ბაზაა უკეთესი სტუდენტებისთვის. ხშირ შემთხვევაში არ უთითებენ რომელი ბაზებიდან შეიძლება აიღონ სტუდენტებმა მონაცემები, რაც უკეთესია, რადგან არ დაიბნევიან სტუდენტები, თუმცა მითითებულია სახელმძღვანელოები, რასაც იყენებენ სტუდენტები. საკმაოდ კომპლექსური კურსია და იმისთვის რომ ყველა ფაკულტეტზე იკითხებოდეს ერთნაირად ამისთვის კეთდება Peer Review, ამიტომ დიდ ყურადღებას ანიჭებენ თუ როგორ იკითხება კურსი.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ელიზბარ ელიზბარაშვილს.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დასვა კითხვა, თუ როგორ ახერხებს სტუდენტი არაორგანული ქიმიიდან გადასვლას გაცილებით უფრო რთულ ბიოქიმიის საკითხებზე. მან განაცხადა, რომ ეკოლოგიური სამყაროს ყველაზე დიდ მტრად მიიჩნევა ბუნებრივი ნარჩენები - პესტიციდები და სხვა, მათი კონცენტრაცია არის განმაპირობებელი ცოცხალი სისტემების არსებობისა და დაავადებების მატარებლის, დაინტერესდა თუ როგორ შეიძლება სტუდენტმა ისწავლოს ცილების სინთეზი ორგანული ქიმიის მოლეკულურ სტრუქტურაზე. მისი თქმით ორგანულ და არაორგანულ ქიმიას შორის უფრო დიდი სხვაობაა ვიდრე სისხლის სამართალსა და საერთაშორისო სამართალს შორის, იქ უფრო მეტი მსგავსებაა, ქიმიაში კი ატომის გარდა ამ ორ დარგს არანაირი მსგავსება არ გააჩნია, მოლეკულებიც კი აბსოლუტურად სხვადასხვაა.
საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა სფეროში მოიაზრება კურსდამთავრებულების დასაქმება, მათ უმეტეს თეორიული ცოდნა აქვთ და თუ შეძლებენ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენას.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა პროგრამის ხელმძღვანელს, ნათია კოპალიანს.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნათია კოპალიანმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის. მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით პროგრამა აგებული უნდა იყოს ისე, რომ ითვალისწინებდეს ყველა სტანდარტს და ისწავლებოდეს ის საგნები, რომელთა ექსპერტიზაც აქვთ ძალიან კარგი. დაბინძურების

საკითხებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ასწავლიან კონსერვაციულ ბიოლოგიას, სადაც მნიშვნელოვანი წილი ენიჭება ბუნების დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ საფრთხეებს, რომლებიც მოქმედებს ბიომრავალფეროვნებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა, რომ დაბინძურების საკითხებსა და 1.2 კომპონენტზე უკვე იყო ვრცელი საუბარი.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნათია კოპალიანმა ორგანულ ქიმიასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ისწავლება ბიოქიმიის საკითხებში, კერძოდ, მის შესავალში, ამიტომ შესაძლებელია ეკოლოგისთვის იყოს საკმარისი
ფაკულტეტის დეკანი, დავით თარხნიშვილმა განაცხადა, რომ სამედიცინოზე ისწავლება ბიოქიმია ისე, რომ ორგანული ქიმიის კურსი წინ არ უსწრებს.
დასაქმების საკითხის შესახებ აღნიშნა, რომ მათი კურსდამთავრებულების დაახლოებით 90% არის დასაქმებული, დიდი უმრავლესობა არის სპეციალობით დასაქმებული, მუშაობენ გარემოს დაცვის სამინისტროსა და მის ქვედანაყოფებში, ნაკრძალებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, გარემოს დაცვით ორგანიზაციებში, აგრძელებენ აკადემიურ კარიერას, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ, ამ მხრივ საკმაოდ წარმატებულნი არიან.
დასაქმების ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ გამოიკითხა სამი ადამიანი, რადგან ისინი წარმოადგენდნენ სამ მნიშვნელოვან სფეროს, სამთავრობო სექტორს, არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო არასამთავრობო სექტორს (GCF), რომლებიც ასაქმებენ მათ სტუდენტებს, მეოთხე არის აკადემიური სექტორი, საუბარია იმ სტუდენტებზე, რომლებიც აგრძელებენ თავის სამეცნიერო/აკადემიურ კარიერას.
საბჭოს თავმჯდომარე ჰკითხა ფიქრობდა თუ არა, რომ დასაქმება ხდება სხვადასხვა სექტორში, რისიც ძალიან კარგი მაჩვენებელია და ის სექტორები, რომლებიც იყო ჩამოთვლილი, თითო სექტორიდან თითო წარმომადგენელი რამდენად რეპრეზენტატიულია.
ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ ისინი წარმოდგენას აძლევენ სამი განსხვავებული პერსპექტივიდან.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დასძინა, რომ საუბარია მნიშვნელოვან მოთამაშეებზე ამ სფეროში, რომლებიც ყველაზე მეტად არან წარმოდგენილნი, ასრულებენ ყველაზე მნიშვნელოვან როლს, საუბარია მათ უკუკავშირზე.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ GCF-ზე ვერ დაეთანხმებოდა, რადგან სხვა საერთაშორისო დონორებიც არსებობენ, რომელთაც გარემოსა და ეკოლოგიის მიმართულებით დიდი დონორ პროგრამები აქვთ.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მას არ უგულისხმია ზემოაღნიშნული ორგანიზაცია ყველაზე მნიშვნელოვნად, მას სურდა ეთქვა, რომ მისი როლი ეკოლოგიის მიმართულებით მნიშნველოვანია, აღნიშნულ ორგანიზაციას მათთან მნიშვნელოვანი ინვესტიციები აქვს ეკოლოგიის მიმართულებით, ამიტომ მათი თანამშრომლობა არ არის ჰიპოთეტური, კონკრეტული მიმართულებით, ასევე მათ მიერ მიყვანილ აკადემიურ პერსონალს კონკრეტული ვალდებულებები აქვს დაწესებულებასთან, რომ განავითარონ პროგრამა, კურსები და ა.შ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა დაწესებულების წარმომადგენლების პასუხი, რომ საუბარი არა რეპრეზენტატულობაზე, არამედ არსებული თანამშრომლობის ფარგლებში აღნიშნული რესურსი იყო გამოყენებული, რათა გამოევლინათ საჭიროებები შრომის ბაზარზე.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ციცინო თურქაძეს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ბაზრის კვლევა, თუმცა მან ყურადღება გაამახვილა აკრედიტაციის დებულებაზე სადაც წერია შრომის ბაზრის ანალიზი და არა კვლევა. კვლევა შეიძლება სხვამ ჩაატაროს, მაგრამ ანალიზი უნდა გაკეთდეს პროგრამის ფარგლებში, აქედან გამომდინარე ინტერვიურების დროსაც ეს იყო ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელშიც წარდგენილია სამი პირის გამოკითხვა, ერთ-ერთია იმ ანალიზის საკითხებიდან, თუმცა ინტერვიურების დროს დაინახეს თუ რამდენად

მნიშვნელოვანი ანალიზი ჰქონდა გაკეთებული წლების განმავლობაში, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ დაწესებულება აღნიშნულ სტანდარტს აკმაყოფილებს.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა თუ რა არის ის სხვა დოკუმენტები, რასაც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო და საბჭომ არა, თუ ექსპერტთა ჯგუფმა ნახა და საბჭომ ვერა, რატომ არ იქნა მიწოდებული აღნიშნული დოკუმენტები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული დოკუმენტები არ იყო, მათ ნახეს მიდგომები, რომლითაც პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამაში ჩართული გუნდი, როდესაც პროგრამაზე მუშაობდა აკეთებდა გარკვეულ ანალიზებს წლების განმავლობაში, როგორიცაა ბიოლოგიის პროგრამის ორად გაყოფა, ბიოლოგიისა და ეკოლოგიის გაყოფა, რა უძღოდა წინ, რამ გამოიწვია და ა.შ.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დასძინა, რომ ეს არ იყო არც შრომის ბაზრის ანალიზი და არც მისი კვლევა.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ შრომის ბაზრის ანალიზსა და კვლევაზე მას არ დაუსრულებია პასუხი, ინტერვიუზე მიიწვიეს იმის გათვალისწინებით, რომ იყვნენ ყველაზე მნიშვნელოვანი მოთამაშე აღნიშნულ სფეროში და მათთან ჰქონდათ მნიშვნელოვანი ურთიერთობები, მათ ძალიან კარგად იციან დაწესებულების შესაძლებლობები, პროგრამები, პრიორიტეტები და კურსდამთავრებულები. სამივე პროგრამა იყო გაზომილი მათთან და თუკი საუბარია, რომ პროგრამები შესაძლებელია ჯამურად შეფასდეს და კლასტერული აკრედიტაციის მიდგომებით უნდა ისაუბრონ მაშინ გამართლებულია, რომ გარე Review-ზე გააგზავნონ სხვადასხვა საფეხურის პროგრამები, სადაც კარგად ჩანს თუ როგორ ხდება გრადაცია, როგორ ხდება გართულება, კვლევის კომპეტენციების განვითარება და ა.შ.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ კლასტერული აკრედიტაცია მასაც სწორად მიაჩნია, უბრალოდ დაინტერესდა ერთიდაიგივე კითხვარზე უნდა უპასუხონ თუ არა სამ პროგრამასთან მიმართებით.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დაეთანხმა, რომ ასე უნდა ყოფილიყო. მისი თქმით დაწესებულება ბაზრის ანალიზს არ აკეთებს რაოდენობით, კითხვარები კი გამოიყენება რაოდენობრივი კვლევისთვის, შესაბამისად საუბარი არ არის კითხვარებზე, რადგან არაფერს არ იძლევა, მითუმეტეს უკუკავშირს დამსაქმებლებისგან, გაკეთებულია თვისობრივი ანალიზი და მიღებულია თვისობრივი უკუკავშირი, რაც არის მიდგომა ბაზრის/დამსაქმებელთა საჭიროებების კვლევისა, გარდა ამისა პროგრამა გაგზავნილი იყო საერთაშორისო ექსპერტებთან, მათ შორის ორი წარმომადგენელი იყო კიონინგის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ხელმძღვანელი, რომლებმაც მისცეს უკუკავშირი, ასევე ჩართული იყვნენ ექსპერტები თურქეთის უნივერსიტეტიდან.
რექტორის მოადგილემ, ნინო დობორჯგინიძემ განაცხადა, რომ ეს არის აცდენილი ინტერპრეტაციების საკითხი თუ რას ნიშნავს ბაზრის ანალიზი პროგრამებისათვის, მისი თქმით ეს ვერანაირად ვერ იქნება ისეთი ბაზრის ანალიზი, როგორიც საბჭოს წევრს წარმოუდგენია, რაზეც რეალურად ეთანხმება, თუმცა ეს არის პროგრამის განვითარებისთვის ჩატარებული თვისობრივი ანალიზი, რომელიც ნამდვილად ფარავს იმას, რასაც აკეთებენ პროგრამებთან დაკავშირებით.
ქართულ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ისინი ვერ ნახავდნენ ქართულ ბაზარზე ლიცენზირებულ, ქართულენოვან სახელმძღვანელოებს, ილიაუნის სახელმძღვანელოების გარდა, მისთვის გასაკვირია რეკომენდაცია აღნიშნულ სტანდარტში, რადგან მას არ ეგულება ინსტიტუცია, რომელმაც გასაუმჯობესებელ სფეროდ არ უნდა დაწეროს ქართულენოვანი ლიტერატურის გაუმჯობესება, რაც ნამდვილად მისაღები უნდა იყოს, რადგან ყველა ლიცენზირებული თარგმანი ეკოლოგიაში არის ილიაუნის მიერ ნათარგმნი და სწორედ დაწესებულებაც მიიჩნევს, რომ ეს არის გასაუმჯობესებელი მხარე.
ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ქეთევან ლაკირბაიამ განაცხადა, რომ შენიშვნები ბიუჯეტის Template-თან დაკავშირებით ხშირად არის აკრედიტაციის საბჭოზე, საქმე იმაშია, რომ დაწესებულებას არ აქვს სტანდარტი, თუ რა ფორმით უნდა იქნას წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა, რომ პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით საუბარი იყო პროგრამის ფინანსური მდგრადობის გამოსარკვევად.
ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პროგრამის მდგრადობისთვის დაწესებულება აკეთებს ხარჯების კონტროლს, წარდგენილ დოკუმენტში მითითებულია დანახარჯები, რომლებსაც უნივერსიტეტი თვლის, რომ შესაძლებელია ჰქონდეს შესაბამისი განმარტებები თუ რომელი დაფინანსებიდან შეიძლება გადაიფაროს ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ დანახარჯები შემოსავალზე მეტია, ეკოლოგიის პროგრამისთვის ეკოლოგიის ინსტიტუტს აფინანსებს ილიაუნი და იქიდან ფინანსდება ხარჯების გარკვეული წილი. როდესაც საუბარია, რომ კონკრეტული დაფინანსების წყარო უნდა ჩანდეს კალკულაციაში, მისი მოსაზრებით ეს შეუსრულებელი მისიაა, რადგან თუ იტყვიან, რომ ფინანსდება ეკონომიკური საქმიანობიდან არაფერს არ იძლევა, თუ რაიმე კონკრეტული კითხვა არსებობს კონკრეტულ დანახარჯთან დაკავშირებით შესაძლებელია პასუხი გასცენ, თუკი Template-თან დაკავშირებული პრობლემაა ესეც მისაღებია. თუმცა დაწესებულება დანახარჯების ანალიზისას ითვალისწინებს პირდაპირ ხარჯებს და ირიბ დანახარჯებს, რომელიც მთლიან ბიუჯეტშია გაბნეული და კონკრეტული მუხლების მითითება, ფიზიკურად არ გამოდის, რადგან სახელმწიფო უნივერსიტეტებში ბიუჯეტი ხაზინის მიხედვით დგება და არაფერის მომცემი იქნება მუხლების მითითება, რადგან კიდევ უამრავი სხვა დანახარჯი არსებობს.
რექტორის მოადგილემ, ნინო დობორჯგინიძემ განაცხადა, რომ გემის ხარჯები, რომელზეც ეკოლოგიის სტუდენტებიც არიან, ეკოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი პროექტები და საერთაშორისო კვლევები, ეს საერთოა და გაუგებარია, როგორ უნდა ჩამოაჭრან ერთი პროგრამის ნაწილი, ამიტომ ეს არ ნიშნავს, რომ რამეს ღიად არ ამბობენ, პირიქით ძალიან ბევრს აფინანსებენ ამ მიმართულებით.
ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას თვითონ აინტერესებს ანალიზის თვალსაზრისით, თითოეული პროგრამის დანახარჯი, ზოგადად, ხარჯების ალოკაცია ძალიან რთულია, ამიტომ პარტნიორ უნივერსიტეტებთან იქნება ეს ევროპის თუ ამერიკის უნივერსიტეტები, ამაზე მუშაობენ და მათაც იგივე პრობლემა აქვთ, პროგრამულად ბიუჯეტის დათვლა შეუძლებელია.
ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ არსებობს ფაკულტეტის ბიუჯეტი და ამასთანავე არსებობს სამი კვლევითი ერთეულის ბიუჯეტი, ეკოლოგიის ინსტიტუტის, ზოოლოგიის ინსტიტუტის და ბოტანიკის ინსტიტუტის, მუშაობენ ამაზე და სტუდენტები აკეთებენ კვალიფიციურ ნაშრომებს აღნიშნულ ინსტიტუტებში.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	17.11.2011, გადაწყვეტილება №101
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე

9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერებების მაგისტრი ეკოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	გარემოსმცოდნეობა, 0521
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლის №3, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის G კორპუსი, 0162 თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ელენე ჟურავლოვამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ციცინო თურქაძემ განაცხადა, რომ რეკომენდაცია გაწერილია მხოლოდ 2.2 კომპონენტთან დაკავშირებით:

- პროგრამაში უფრო მეტად გაძლიერდეს გარემოს დაბინძურების, ნივთიერებათა ტრანფორმაციის, ეკოტოქსიკანტებისა და ქსენობიოტიკების გარემოში მოხვედრის, დეპონირებისა და წრებრუნვის საკითხების სწავლება სასწავლო კურსების შინაარსის გაძლიერებით ან სხვა სავალდებულო კურსის დამატებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით თარხნიშვილი განაცხადა, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, მაგრამ სამაგისტრო პროგრამა სრულად არის ორიენტირებული კვლევით საქმიანობაზე, რომელიც მიმდინარეობს, და რომელშიც სტუდენტები უნდა ჩაერთონ, მათ აქვთ სტუდენტთა საკვალიფიკაციო ნაშრომი, რომელიც სულ ექსპერიმენტულია, შეიძლება იყოს ლაბორატორიული ან საველე კვლევა, მაგრამ ეს არ არის ლიტერატურის მიმოხილვა, ამიტომ სტუდენტებს ყოველთვის აძლევენ საშუალებას და ყურადღებას ამახვილებენ იმ საკითხებზე, სადაც აქვთ ყველაზე ძლიერი სამეცნიერო ექსპერტიზა. ამ მხრივ მას სურს მიმართოს პროგრამებისა და უნივერსიტეტების კომპლიმეტარულობას, არსებობს უნივერსიტეტები, სადაც ძალიან ძლიერია აღნიშნული მიმართულება და არსებობს, სადაც საბაზისო ინფორმაცია ეძლევა სტუდენტს. ამასთანავე, ილიას უნივერსიტეტში ამავე ფაკულტეტზე, არის ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტის პროგრამა, რომელსაც აქვს სამი მიმართულება, ტყის მეცნიერების მიმართულება (გარემოს დაცვითი მიმართულება) და ამ პროგრამის ფარგლებში უფრო ღრმად ისწავლება, მათ შორის დაბინძურების საკთხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შრომის ბაზრისა და ბიუჯეტის შესახებ დასმული კითხვები აღნიშნულ პროგრამაზეც რელევანტურია, პასუხები უკვე მიღებულია და შესაბამისად საბჭო აღარ დაუბრუნდება აღნიშნულ საკითხებს.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ძალიან კარგია ის ფაქტი, რომ სამაგისტრო ნაშრომები არის კვლევითი ხასიათის, რადგან მაგისტრს მოეთხოვება კვლევითი კომპონენტის შესრულება, თუნდაც ძალიან მცირე ზომის, მაგრამ უნდა თქვას ახალი სიტყვა მეცნიერებაში და მომავალში შესაძლებელია ეს გახდეს დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მოტივაცია. სამაგისტრო ნაშრომების გადახედვისას საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ არსებობს რაიმე სტანდარტი სამაგისტრო ნაშრომის მოცულობასთან დაკავშირებით, რამდენად შეიძლება ჩაეტიოს სამაგისტრო ნაშრომი 13 გვერდში, გვერდები კი ძალიან ბევრია, მაგრამ რა საჭიროებას წარმოადგენს ქრესტომათიული ინფორმაციის დართვა? -ასევე დაინტერესდა, თუ რამდენად არის სავალდებულო დასკვნის ნაწილი, რადგან სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა რომელ ქვეყანაშიც უნახავს, მათ შორის აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ყველას აქვს შესავალი, დასკვნა. წარმოდგენილი ნაშრომებიდან კი ერთ-ერთ ნაშრომს არ ჰქონდა, ერთ-ერთ სამაგისტრო ნაშრომს ძალიან საინტერესო თემატიკა ჰქონდა „ატენის ხეობის ეთნობოტანიკური კვლევა“ დასკვნა ოთხი პუნქტია და მათგან ორი ეკონომიური საკითხია, „მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ყურძენს ტონობით აბარებს ქალაქში მდებარე ქარხანაში. ეს კი მათთვის გარკვეულწილად წამგებიანია. საქართველოში მოქმედებს პროგრამები სოფლის მეურნეობის სფეროში. მოსახლეობის ინფორმირება და მათი ჩართულობა მსგავს პროექტებში მათ შეაძლებინებდა მცირე ბიზნესის წარმართვას, ღვინის ბრენდირებულ ბოთლებში ჩამოსხმას და რეალიზებას“, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად არის ეს დასკვნა ეკოლოგიური დარგის კვლევის დასკვნის შესაბამისი. მან დასძინა, რომ არ სურდა პასუხად მიეღო ის, რომ ასეთი ნაშრომების ავტორები შედარებით დაბალ ქულებს იღებდნენ.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ განაცხადა, რომ წინა გამომსვლელმა დასვა მისი კითხვები. მან დასძინა, რომ გარდა 13 გვერდიანი ნაშრომისა კიდევ არის 18-20 გვერდიანი ნაშრომები, ამის გარდა სამაგისტრო ნაშრომი სრულად აგებულია გამოკითხვაზე, მაგ., „მოსახლეობა რომელ მცენარეს გამოიყენებს და რას ამოიცნობს სურათებიდან“, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად არის ეკოლოგიური კვლევა და სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიკაციის შესაბამისი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის დეკანს, დავით თარხნიშვილს.

ფაკულტეტის დეკანმა, დავით თარხნიშვილმა კვლევების მოცულობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეკოლოგიის კვლევებთან მიმართებით ილიაუნი აშკარა ლიდერია, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიის რეგიონში, რაც შეიძლება Scopus-ით შემოწმდეს და შესაბამისად ის კვალიფიკაცია, რაც გააჩნია მათ აკადემიურ პერსონალს. გაფორმება თავსი

კვლევის შედეგების სამეცნიერო ნაშრომის სახით, რომელიც მაღალ Impact ფაქტორიან ჟურნალში ქვეყნდება ძალიან მნიშვნელოვანი უნარია, რომლის მიწოდებასაც ცდილობს დაწესებულება სტუდენტებისთვის, იდეაში საკითხი დგას, რომ სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება იყოს შავი ვერსია სამეცნიერო სტატიის, რომელიც მომავალში შეიძლება გამოქვეყნდეს სამეცნიერო ჟურნალში და ასეთი პრეცედენტები არსებობს, ეს არის რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა საუნივერსიტეტო რეგულაციით, რამდენი სიტყვა/ფურცელი უნდა იყოს ნაშრომი.

ფაკულტეტის დეკანმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში სიტყვების მინიმალური რაოდენობა არ არის, ეს არის მხოლოდ პასუხები იმ შეკითხვებზე, რომლებიც ნაშრომის შესავალ ნაწილში არის დასმული, მისი მოსაზრებით არც უნდა იყოს სიტყვების მინიმალური რაოდენობა, რომელიც სამაგისტრო ნაშრომში უნდა არსებობდეს. მიუხედავად ამისა მიზნებიდან გამომდინარე არსებობს 18 გვერდიანი, 25 გვერდიანი და 100 გვერდიანი ნაშრომები, სადაც სრულად არის ინტეგრირებული მასალები.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა დაშვებულია თუ არა საუნივერსიტეტო პოლიტიკით 13 გვერდიანი ნაშრომი ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე.

ფაკულტეტის დეკანმა დაადასტურა, რომ დასაშვებია. დასკვნებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ თუ აიღებენ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომს, ვერსად ნახავენ ნაწილს, რომელსაც ჰქვია „დასკვნა“, არის ჩვეულებრი მსჯელობა, დისკუსია, თუმცა დამოკიდებულია სტუდენტსა და მის ხელმძღვანელზე, მათ შეუძლიათ ჩართონ დასკვნის ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა დეკანს მის მიერ ნათქვამი ფრაზა, რომ სამაგისტრო ნაშრომები ზოგჯერ სამეცნიერო ნაშრომის შემადგენელი შეიძლება გახდეს. იგი დაინტერესდა თუ მომხდარა დათვლა, ანალიზი, იმისა თუ რამდენი სამაგისტრო ნაშრომი გამხდარა ამგვარი, სამეცნიერო ნაშრომების შემადგენელი ნაწილი ან წყარო.

ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ მას შეეძლო მხოლოდ თავის სტუდენტებზე ესაუბრა, მისი მოსაზრებით ალბათ 5 ასეთი ნაშრომი იქნება, მაგრამ გაცილებით მეტია მთელ ფაკულტეტზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნათია კოპალიანმა განაცხადა, რომ იყო რამდენიმე ნაშრომი, რომელიც შემდეგ გაკეთდა პირდაპირ სტატიად და გამოიცა, გარდა ამისა დაწესებულების წარმომადგენლები ცდილობენ, რომ სტუდენტებს დააწერინონ სტატიის ფორმით სამაგისტრო ნაშრომი, რათა მათ ისწავლონ სამეცნიერო სტატიების წერა, ზოგ სამაგისტრო ნაშრომს აქვს ძალიან ბევრი თანდართული რუკა, რომელთა კეთებასაც სჭირდება ძალიან დიდი დრო, შესაბამისად ის, რომ ტექსტური ნაწილი შედარებით მცირე ზომისაა არ ნიშნავს იმას, რომ ის სამაგისტრო რაიმეთი უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია ვიდრე 100 გვერდიანი ნაშრომი. ეს არის დაწესებულების პოლიტიკა მიზნებიდან გამომდინარე, აკადემიური თავისუფლებიდან გამომდინარე კი აღნიშნული სახით განსაზღვრეს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ელიზბარ ელიზბარაშვილს.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ასეთი აკადემიური პერსონალის ქვეშ იქნება ძალიან კარგი სამაგისტრო ნაშრომებიც, რომელთა ნაწილი გაფორმდება სამეცნიერო პუბლიკაციის სახით, რაზეც მას არ ჰქონდა საუბარი, მას აინტერესებდა კონკრეტული სამაგისტრო ნაშრომები, რომლებიც წარდგენილია. მან აღნიშნა, რომ ძალიან კარგია დაწესებულება ასწავლიდეს სტუდენტებს ნაშრომის გაფორმებას, როგორ პუბლიკაციისას, თუმცა მისთვის გაუგებარია თუ რომელ პუბლიკაცია შეიძლება გამოქვეყნდეს დასკვნის გარეშე.

ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ მათი გამოქვეყნება შესაძლებელია ნებისმიერ სამეცნიერო ჟურნალში.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნათია კოპალიანმა დასძინა, რომ შეეძლო მაგალითების მოყვანა, სადაც არ არის გამოკვეთილი დასკვნები.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ გარდა ამისა, მისთვის ცნობილია, რომ ინსტიტუცია მკაცრად იცავს ციტირების წესს, დაინტერესდა თუ როგორ არის დაცული

ორთოგრაფია, არის თუ არა საჭირო წერტილ-მძიმე, ასევე გამოყენებული ლიტერატურის მითითება, რასაც ჟურნალები კატეგორიულად ითხოვენ, წერტილ-მძიმე არსად არ არის.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ განაცხადა, რომ ციტირების წესთან დაკავშირებით უნივერსიტეტში არსებობს სახელმძღვანელო.
საბჭოს წევრმა დასძინა, რომ მისთვის ცნობილია სახელმძღვანელოს არსებობის შესახებ და გულისხმობდა თუ რამდენად ხდება მის განხორციელება.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ციტირება გაკეთებულია, კონკრეტულად მითითებულია სტილის მიხედვით, თუმცა ნამდვილად საჭიროა ამ ყველაფრის პრაქტიკაში დანერგვა, რაც მუდმივი პროცესია და მას ეეჭვება უნივერსიტეტებში მკაცრად იყოს დაცული ეს წესები. შესაბამისად საუბარი იმაზე, რომ რამდენად სწორად აკეთებს დაწესებულება აკადემიურ ციტირებებს პროგრამებში/სამაგისტრო ნაშრომებში, საკმაოდ დიდი თემაა, ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება მთელ სფეროს, რომ ნაშრომები იყოს სწორად ციტირებული, რეფერირებული, რისთვისაც ბევრი რეგულაციები და მასალები აქვთ, წერის ცენტრიც არსებობს, თუმცა ეს არ არის 1-2 დღის ამბავი, ამას სჭირდება საკმაოდ დიდი ძალისხმევა და დანერგვის კულტურა. მას ეეჭვება, რომ უნივერსიტეტებში ყველგან ერთნაირად იყოს დანერგილი ციტირებისა და რეფერირების ძალაიან მკაცრი წესები.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ მასაც უწევს დოქტორანტებთან, საკმაოდ გამოცდილ ადამიანებთან აღნიშნულ თემაზე დავა ჟურნალში სტატიის წარმოდგენისას, მისთვის გასაგებია, ხშირად არ სურთ ამ წესების დაცვა, თუმცა კითხვა მდგომარეობს იმაში, რომ როდესაც ასეთი რაღაც ხდება, რას აკეთებს უნივერსიტეტი.
ფაკულტეტის დეკანმა განმარტა, რომ ეს შემდეგ აისახებოდა სტუდენტის შეფასებაზე, მათ შორის ფორმალური დარღვევები, ეს არის სტუდენტური ნაშრომი, რომელიც ფასდება და არ არსებობს მოთხოვნა, რომ ეს იყოს იდეალური, მზა გამოქვეყნებისთვის, როდესაც მან თქვა რომ უნდა იყოს გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიის სახით, გულისხმობდა, რომ ნაშრომს სჭირდებოდა შემდგომში მუშაობა, დახვეწა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი დამუშავება ვიდრე, ფორმალური, წერტილ-მძიმის გამოტოვება და ამას რა თქმა უნდა დაწესებულების წარმომადგენლები ყურადღებას აქცევენ.
რექტორის მოადგილემ, ნინო დობორჯგინიძემ განაცხადა, რომ საუნივერსიტეტო პოლიტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით არის გამართული და წარმატებული, რადგან საქართველოში ეკოლოგიური მიმართულების პუბლიკაციების 66% მოდის ილიაუნის ეკოლოგიის ჯგუფზე და 4% არის Scopus-ის ჟურნალებში პუბლიკაციების სახით. მისი განმარტებით წერტილ-მძიმის გამო უნივერსიტეტიდან ნამდვილად ვერ გარიცხავენ, თუმცა მათი საკვალიფიკაციო დოკუმენტები, რაც ატვირთულია ცენტრის გვერდზე ეს ასეა და სპეციალისტები შეთანხმებულნი არ არიან, იქ მხოლოდ პატარა ელემენტია სადაც ენობრივი წერტილ-მძიმე აკლია ნაშრომში და შეფასების დროს გათვალისწინებულია.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოსაზრებით აუცილებელია აღინიშნოს, რომ საბჭოს წევრი ნახავდა ეტაპობრივად განხორციელებულ სამუშაოებს, რადგან აკადემიური კეთილსინდისიერება ერთ დღეში არ იბადება, ეს არის ძალიან რთული პროცესი, ყველა პროგრამის ყველა ნაშრომი ტარდება პლაგიატზე და საკმაოდ დიდი/ბევრი ეტაპები სჭირდებათ.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ მას პლაგიატისა და აკადემიურ კეთილსინდისიერება არ ჰქონია მხედველობაში.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ აკადემიური კეთილსინდისიერება პლაგიატიც არის, ციტირებებიც და რეფერირებებიც, შესაბამისად ერთბაშად ყველაფრის ამოქმედება საკმაოდ რთულია.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს.
საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის თქმით მისთვის გასაგებია, რომ უნივერსიტეტს დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე აქვს თავისი პოზიცია, მან განმარტა, რომ ზოგადად სამაგისტრო ნაშრომი ემსახურება კვლევით უნარების განვითარებას, დაწესებულებაც

ორიენტირებულია კვლევითი უნარების განვითარებაზე და პროექტებს ამზადებინებენ, მათ შორის კვლევითი პროექტი შესაძლებელია იყოს 13 გვერდიანი, თუმცა მისთვის გაუგებარია რა ვალდებულებაა და სად არის გაწერილი, რომ კვლევით პროექტს, რომელსაც მაგისტრანტებს აკეთებინებენ მაინცდამაინც სამაგისტრო ნაშრომი უნდა ერქვას, შესაძლებელია დაერქვას კვლევითი პროქტი ან ნებისმიერი რამ და სურვილის შემთხვევაში პუბლიკაციის სახით გამოაქვეყნებინონ.
ფაკულტეტის დეკანი დაინტერესდა თუ რითი განსხვავდებოდა პროექტი და ნაშრომი.
საბჭოს წევრმა განაცხადა რომ სხვადასხვა მოთხოვნები აქვთ, მაგ., ბრიტანეთს „ბენჩმარკინგზე“ აქვს სამაგისტრო ნაშრომის შემუშავება, იქ დეტალურად არის გაწერილი და ოთხივე სააგენტოს დეტალურად აქვს გაწერილი თუ რა უნდა იყოს „ბენჩმარკინგი“ რომ დაერქვას Master’s Thesis. მათ შორის ხშირად არის განსაზღვრული გვერდების რაოდენობაც.
რექტორის მოადგილემ, ნინო დობორჯგინიძემ განაცხადა, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე 13 გვერდიან ნაშრომს შეიძლება ახლდეს დიდი რაოდენობით მონაცემები, რომელიც სხვა გზით არის დამუშავებული და არის სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი.
საბჭოს წევრმა დააზუსტა შესაძლებელია თუ არა სადისერტაციო ნაშრომზეც იგივე მიდგომის გამოყენება და თუკი სამაგისტრო ნაშრომი 18 გვერდიანი დასაშვებია დისერტაცია 20 გვერდიანი სრულიად მისაღები იქნება.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ნებისმიერი ნაშრომი ფასდება იმით თუ რა იყო კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვა, როგორ განხორციელდა და არა მისი მოცულობიდან გამომდინარე.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	გარემოსმცოდნეობა, 0521
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	42
14	განხორციელების ადგილი	

		გ. წერეთლის №3, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის G კორპუსი, 0162 თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ელენე ჟურავლოვამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციცინო თურქაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებითაც საბჭო ნახავდა საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვას, ამ კუთხით პროგრამა დაეყრდნო ქართულენოვან ეკოლოგიის პროგრამას, რომელიც წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა უნივერსიტეტში და დაწესებულებამ პროგრამის უფრო მეტად გავრცობისა და საერთაშორისო მასშტაბების შეძენისათვის შეიმუშავა ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა ეკოლოგიაში. ამ მხრივ დაწესებულებამ გამოიყენა მისი წინა წლების შედეგები, რაც ქართულენოვან პროგრამის გაზრდილ აკადემიურ პერსონალთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ კარგი პრაქტიკა შეიძლება იქნას წარმოდგენილი და აუცილებლად უნდა აღინიშნოს უნივერსიტეტის მიმართება საერთაშორისო სადოქტორო სკოლასთან მიმართებით, რომლის ფარგლებშიც სხვა სპეციალობებთან ერთად მნიშვნელოვანი ბენეფიტები აქვს ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამას, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფს ნაკლები რეკომენდაცია აქვს ახალ სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით. მათ შეისწავლეს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პუბლიკაციები, მათი სხვადასხვა სამეცნიერო მონაცემები, პროდუქტიულობა და ერთ-ერთი საკითხი, რაც გამოიკვეთა დოკუმენტაციის დამუშავებისას და რაც საყურადღებოა, თუმცა დაწესებულებას აქვს შესაბამისი მზაობა და რესურსები, იყო ისე რომ დაწესებულებას დოკუმენტაციაში არ ჰქონდა წარმოდგენილი ერთ-ერთი პროგრამაში ჩართული კომპონენტისათვის შესაბამისი კურსები პედაგოგიური მიმართულებით, რომელიც გარკვეული მოთხოვნაა პროგრამაში. ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები იმ სასწავლო

ცენტრს, რომელიც ფუნქციონირებს უნივერსიტეტში არ აქვს შემუშავებული, თუმცა ამის შემუშავება და მიწოდება სტუდენტებისთვის არ წარმოადგენს სირთულეს, გამომდინარე ცენტრის პედაგოგებიდან, მიმართებებიდან, განხორციელებული და მიმდინარე პროექტებიდან, შესაბამისად რეკომენდაცია გაცემულია, მაგრამ ინსტიტუციას შესაძლებელია უკვე შესრულებულიც კი ჰქონდეს, იმდენად მარტივია მისი შესრულების შესაძლებლობები. გაიცა შემდეგი რეკომენდაცია:

- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის (TSDC) მიერ ინგლისურენოვანი პროგრამის დოქტორანტებისათვის შეთავაზებულ იქნას შესაბამისი კურსები ინგლისურ ენაზე.

ამ მხრივ გაეცნენ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და მათთვის გასაგებია, რომ საერთაშორისო პროექტში არიან ჩართულნი და იმ პროექტის ფარგლებში ინგლისურენოვანი კურსები თითქმის შემუშავებული აქვთ, თუმცა ამ პროგრამის ფარგლებში ასეთი ჩანაწერი/მიდგომა ვერ დაინახეს, რამაც განაპირობა რეკომენდაციის გაცემა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ფაკულტეტის დეკანმა, დავით თარხნიშვილი მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. მისი თქმით მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას აქვს ინგლისურენოვანი კურსები და აქვთ კომპეტენცია, რომ ინგლისურად იკითხებოდეს კურსები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ განაცხადა, რომ მათი მასწავლებლის ცენტრი და მათ მიერ შეთავაზებული კურსები აღებულია საერთაშორისო პრაქტიკიდან, შეთავაზებულია საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, მოხდა კურსების თარგმანი, რათა ადგილობრივი მასწავლებლებისა და აკადემიური პერსონალისთვის შეეთავაზებინათ, ამდენად ვერ ხედავს რაიმე კითხვის ნიშნას, რომ ვერ პასუხობდეს სტანდარტს, რა თქმა უნდა ინგლისურენოვანი პროგრამისთვის გადამზადების კურსები იქნება შეთავაზებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შრომის ბაზრისა და ბიუჯეტის შესახებ დასმული კითხვები აღნიშნულ პროგრამაზეც რელევანტურია, პასუხები უკვე მიღებულია და შესაბამისად საბჭო აღარ დაუბრუნდება მითითებულ საკითხებს.
საბჭოს წევრი, ნინო ინასარიძე დაინტერესდა ინგლისურენოვანი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამის მოთხოვნით, ვინ არის მათი სამიზნე ჯგუფი, საიდან გაჩნდა მოთხოვნა.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ სწავლის მეოთხე შედეგი „აქვს სწავლებაში ეფექტური სტრატეგიებისა და თანამედროვე მიდგომების გამოყენების უნარი“, მან ვერ დაინახა სწავლების თანამედროვე მეთოდების სასწავლო კურსი, დაინტერესდა არის თუ არა ინტეგრირებული სხვა სასწავლო კურსებში და რამდენად სწორად არის გადანაწილებული არჩევითი და სავალდებულო კურსები, თითქოს დარგობრივი კურსები მოხვდა არჩევითში, სავალდებულოში კი მოხვდა ასისტირება, ინგლისური წერა, სემინარი და ა.შ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამა ინგლისურენოვანია და დაწესებულებას სწავლის მეოთხე შედეგი სასწავლო კურსი არ აქვს პროგრამაში, მაგრამ აქვს წინაპირობა, რომ დოქტორანტმა აუცილებლად უნდა გაიაროს შესაბამისი ცენტრის მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსი, ტრენინგი, რომლის ოფიციალური ჩაბარებისა და შემოწმების შემდეგ სხვა კომპონენტებზე დაიშვება დოქტორანტი, როგორიცაა პრაქტიკა და სხვა კომპონენტები.
პროგრამას განსაზღვრული აქვს ის მნიშვნელოვანი სავალდებულო სასწავლო კურსები, რაც დოქტორანტისთვის არის სწორი, თუმცა არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საკვლევი თემიდან გამომდინარე, ხელმძღვანელთან შეთანხმებით ის კურსები, რომელიც სჭირდება

დოქტორანტს სწორედ იმას ირჩევს, ეს არის დოქტორანტურის საფეხური, სადაც არსებობს მიღების წინაპირობა არის და შესაბამისი კვალიფიკაციის პირს იღებენ, შესაბამისად ამ კუთხით ექსპერტთა ჯგუფმა პრობლემა ვერ დაინახა.
ფაკულტეტის დეკანმა, დავით თარხნიშვილმა ინგლისურენოვან პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს არის გამოცდილების შედეგი, დრომ აჩვენათ, რომ საკმაოდ ბევრი უცხოელი მსურველი იყო აღნიშნულ პროგრამაზე შესვლისთვის, ხოლო მათი სტუდენტებისთვის ეს არის გზა, რომ უფრო სწრაფად/კარგად მოახდინონ ინტეგრირება საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში. როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, არის მინიმალური მოთხოვნა გამოქვეყნებაზე, საუბარია საერთაშორისო Peer Review, მაღალ Impact ფაქტორიან ჟურნალებში ან საუკეთესო შემთხვევაში გამოქვეყნებების სერია, სადაც სულ ცოტა ორ პუბლიკაციაში, მაღალ Impact ფაქტორიან პუბლიკაციაში სტუდენტი არის პირველი ავტორი, სწორედ ასეთი დისერტაციებია მათთან დაცული. რაც შეეხება დისერტაციის ქართლულ კომპონენტს, დისერტანტს ევალება დაწეროს 26-30 გვერდიანი დისერტაციის ქართლი ანოტაცია, რომელიც უფრო რეალისტურად იქნება წაკითხული ქართველი მკითხველის მიერ, იმის გათვალისწინებით, რომ არის საკმაოდ ვიწრო სპეციალობა, თუმცა ძალიან ფართო სპექტრია თემების კუთხით, ის ფარავს ევოლუციური ბიოლოგიის, კონსერვაციული ბიოლოგიის, თეორიული ეკოლოგიის და მრავალ სხვა თემას, თითოეული ამ თემის ფარგლებში არის საკმაოდ ვიწრო საზოგადოება, შესაძლებელია რამდენიმე ადამიანი მუშაობდეს საქართველოში, ინგლისურად დისერტაციის მომზადება კი საშუალებას აძლევს, როგორც სტუდენტს, ასევე უნივერსიტეტს, რომ ფართო სამეცნიერო საზოგადოებას გააცნოს ნაშრომი.
საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ განაცხადა, რო მისთვის გასაგები იყო ის, რაზეც დეკანი საუბრობდა, თუმცა მას აინტერესებდა ის, რომ ქართულენოვანი პროგრამის კურსდამთავრებული აქვეყნებს სტატიებს ინგლისურად, მისთვის გაუგებარი იყო თუ ვის სჭირდებოდა ხარისხი ინგლისურად ეკოლოგიაში.
რექტორის მოადგილემ, ნინო დობორჯგინიძემ განაცხადა, რომ საერთაშორისო სადოქტორო სკოლა ეს არის ერთი ქუდის ქვეშ გაერთიანებული, სადაც სხვადასხვა პროგრამის სტუდენტები არიან შესული, ადრე შეიძლებოდა, რომ ქართულენოვან პროგრამაზე დაწესებულებას ჩაერიცხა ინგლისურენოვანი სტუდენტი, ახლა ეს აღარ შეიძლება და ამის გამო, ეს არის დიდი, მეგა პროექტი 3 მილიონი ევროს ინვესტიციის მქონე პროგრამა, რომლის კოორდინატორებიც დაწესებულების წარმომადგენლები არიან. თვითონ პროგრამის ფარგლებში 10 სადოქტორო ნაშრომის მომზადებაა გათვალისწინებული და არ არის აუცილებელი, რომ ქართველები იყვნენ, შესაძლებელია იყვნენ მონაწილეები ბუკინგემის უნივერსიტეტიდან ან პროექტში ჩართული სხვა უნივერსიტეტებიდან.
საბჭოს წევრმა დააზუსტა იყო თუ არა გათვლილი ინგლისურენოვან სტუდენტებზეც.
რექტორის მოადგილემ დაადასტურა საბჭოს წევრის მიერ ნათქვამი.
ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ აქ არის ძალიან მნიშვნელოვანი რამდენიმე მიმართულებით ვიწრო ექსპერტიზა და დაწესებულებაც აქტიურად იყენებს თანახელმძღვანელობას თუ სჭირდებათ გარე ექსპერტიზა, მაგ., შარშან ფაკულტეტზე ორი დისერტაცია იყო დაცული, ორმაგი დიპლომით ილიაუნისა და გენტის უნივერსიტეტის, ერთ-ერთი ეკოლოგიაში, რომელიც ახლა სადოქტორო ნაშრომს აკეთებს გერმანიაში, რას საკმაოდ ხშირიად ხდება.
საბჭოს წევრი დაინტერესდა ქართულენოვან და არა ქართულენოვან სტუდენტს აქვთ თუ არა ერთიდაიგივე გადასახადი.
რექტორის მოადგილემ განაცხადა, რომ ქართველებს არ აქვთ გადასახადი არცერთი მიმართულებით, უცხოელს კი აქვს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ საბჭოს ჰქონდა შემთხვევა, როდესაც 20 გვერდიან სამაგისტროზე სხვა დაწესებულებამ განაცხადა, რომ ტექნიკური ხარვეზი იყო. დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაედასტურებინათ, რომ 133 და 18 გვერდიანი ნაშრომები არ იყო ტექნიკური ხარვეზი და ასე უნდა ყოფილიყო.
რექტორის მოადგილემ, ნინო დობორჯგინიძემ დაადასტურა და დასძინა, რომ იმ 13 გვერდიან ნაშრომს ახლავს ძალიან დიდი რაოდენობით არავერბალური ნაწილი, თუმცა ეს არ არის ტექნიკური ხარვეზი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 19:55
დასრულების დრო: 21:04

მესამე საკითხი:
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 2.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ , მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება; 4.3 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ , მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 4.4 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტების ცვლილებამ არ გამოიწვია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
ა) რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
ბ) რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იყოს გაზომვადი;
გ) სასწავლო კურსებში - ბიოქიმია, უჯრედის ბიოლოგია - გაიზარდოს იმ სამუშაოების წილი, რომელიც უზრუნველყოფს ლაბორატორიული მუშაობის პრაქტიკული უნარების განვითარებას;
დ) სილაბუსებში ნათლად მიეთითოს ლაბორატორიული სამუშაოებისათვის განკუთვნილი ზღვრული ქულები. მაგალითად, სასწავლო კურსებში - მოლეკულური ბიოლოგია,

იმუნოლოგიის საფუძვლები, ტოქსიკოლოგიის საფუძვლები, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია, ზოოლოგია;
ე) სასწავლო კურსში „სტატისტიკა“ განისაზღვროს დაშვების წინაპირობა;
ვ) სასწავლო კურსში „ბუნებისმეტყველების მათემატიკური მეთოდები“ კურსის თემატიკები შესაბამისობაში მოვიდეს კრედიტების მოცულობასთან;
ზ) გაუმჯობესდეს სტუდენტების მიმდინარე შეფასება პრაქტიკული /ლაბორატორიული /სასემინარო სამუშაოსათვის - პრაქტიკაში გამოყენებული ასეთი სამუშაოების შეჯამებული შეფასების ნაცვლად, ორიენტირება გაკეთდეს თითოეული სამუშაოს შეფასებაზე;
თ) რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
ი) რეკომენდირებულია პროგრამის პერიოდული შეფასების პროცესში უზრუნველყოფილ იქნას გამოვლენილი ძირითადი მიგნებების, რჩევების/რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი და უკუკავშირი.

რჩევები:
ა) პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს კურსდამთავრებულების კომპეტენცია (ცოდნა და უნარი) ბიოგეოქიმიური წრებრუნვის, გარემოს დაბინძურებისა და ამ დამაბინძურებლების გადატანა/ტრანსფორმაციის საკითხებზე, რომელიც მხარდაჭერილი/უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სასწავლო კურსების გაძლიერებით/დამატებით;
ბ) პროგრამის შინაარსში და სტრუქტურაში გაძლიერდეს გარემოს დაბინძურებისა და ნივთიერებათა გეოქიმიური წრებრუნვის სწავლება, რაც სრულყოფს მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას;
გ) იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარისათვის - ქართულენოვანი სასწავლო რესურსების გამდიდრება, შეიმუშავეთ საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც მხარდაჭერილი იქნება საუნივერსიტეტო დაფინანსებით და შესასრულებელი სამუშაოებისათვის აქტიურად გამოიყენეთ pdcaციკლის მიდგომები;
დ) აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ერთობლივი მუშაობით შესაძლებელია შეიქმნას საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლებაში საჭირო ქართულენოვანი სახელმძღვანელოები საქართველოსა და კავკასიის რეგიონის მცენარეთა და ცხოველთა ეკოლოგიის მიმართულებით, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ეროვნულ დონეზე.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეოთხე საკითხი:
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ , მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება; მეორე სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგან 2.4 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 3.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მესამე სტანდარტის შეფასების ცვლილება; 4.4 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება; მეხუთე სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგან 5,1 და 5.3 კომპონენტები, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
ა) რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
ბ) რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იყოს გაზომვადი.;
გ) რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების მინიმალური მოთხოვნების დადგენა;
დ) რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომებში ციტირების დადგენილი წესების ჯეროვნად დაცვა;
ე) რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულება შემდგომში მათი ხარისხის უზრუნველსაყოფად;
ვ) რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
ზ)განხორციელდეს სამაგისტრო ნაშრომების შესრულების მონიტორინგი, დაწესებულების მიერ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
თ) რეკომენდირებულია პროგრამის პერიოდული შეფასების პროცესში უზრუნველყოფილ იქნას გამოვლენილი ძირითადი მიგნებების, რჩევების/რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი და უკუკავშირი.

რჩევები:

ა) სასურველია უფრო გაფართოვდეს მიღების წინაპირობებით დადგენილი კვალიფიკაციის არეალი, მაგალითად ასეთი დამატებებით: ვიწრო სფერო - ჯანდაცვა (091); დეტალური სფერო - გარემოს დაცვის ტექნოლოგია (0711); ვიწრო სფერო - სოფლის მეურნეობა (082) წარმოდგენილი დეტალური სფეროებით: მემცენარეობა და მეცხოველეობა (0811) მებაღეობა (0812); ვიწრო სფერო - მეტყევეობა (082). აღნიშნული გააუმჯობესებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს;
ბ) პროგრამაში უფრო მეტად გაძლიერდეს გარემოს დაბინძურების, ნივთიერებათა ტრანფორმაციის, ეკოტოქსიკანტებისა და ქსენობიოტიკების გარემოში მოხვედრის, დეპონირებისა და წრებრუნვის საკითხების სწავლება სასწავლო კურსების შინაარსის გაძლიერებით ან სხვა სავალდებულო კურსის დამატებით;
გ) სასურველია, რომ გამოკითხვების საფუძველზე ჩატარებულ კვლევებში წარმოდგენილი იყოს ზოგადი რეკომენდაციები, ასევე კონკრეტული რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით, რომელიც შესაძლებელია შედგეს ცალკე დოკუმენტად. ამით მიაღწევთ პროგრამის მენეჯმენტის უფრო სრულ ინფორმირებას კვლევებით გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეხუთე საკითხი:
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება; 2.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.3 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტების ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 4 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
ა) რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
ბ) რეკომენდებულია პროგრამის მე-4 სწავლის შედეგის ამასახველი საკითხების გათვალისწინება პროგრამის სასწავლო სავალდებულო კომპონენტში.

რჩევები:
ა) სასურველია უფრო გაფართოვდეს მიღების წინაპირობებით დადგენილი კვალიფიკაციის არეალი, მაგალითად ასეთი დამატებებით: ვიწრო სფერო - ჯანდაცვა (091); დეტალური სფერო - გარემოს დაცვის ტექნოლოგია (0711); ვიწრო სფერო - სოფლის მეურნეობა (082) წარმოდგენილი დეტალური სფეროებით: მემცენარეობა და მეცხოველეობა (0811) მებაღეობა (0812); ვიწრო სფერო - მეტყევეობა (082). აღნიშნული გააუმჯობესებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება (ძირითადი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	19/10/2020 MES 1 20 0001006818
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0613
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქ. ჩოლოყაშვილის , თბილისი, საქართველო, 0162
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ელენე ჟურავლოვამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი, ნანი არაბული მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამას თავდაპირველად მიეცა აკრედიტაცია, 6 თვის თავზე შესრულებული რეკომენდაციების შესახებ ანგარიშის წარდგენის პირობით და დაევალა 10 რეკომენდაციის

შესრულება. დაწესებულებამ წარადგინა დოკუმენტაცია, საიდანაც ირკვევა, რომ აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად მათ შექმნეს სამუშაო ჯგუფი, შესაბამისად 9 რეკომენდაცია შეასრულეს, ხოლო რაც შეეხება დარჩენილ ერთ რეკომენდაციას, ეს იყო მერვე რეკომენდაცია: სასწავლო კურსში „CS413 ვებ პროგრამირებში“ ჩაემატოს თემატიკები javascript ფრეიმვორკებთან და მონაცემთა ბაზა MangoDB-სთან მუშაობის პრინციპებთან დაკავშირებით და HTML/CSS თემატიკას დაეთმოს ადეკვატური სალექციო საათები, წარმოდგენილ წინა სილაბუსში აღნიშნულ HTML/CSS თემატიკაში მხოლოდ ერთი ლექცია მოიაზრებოდა, ახლა კიდევ ერთი ლექციაა დამატებული და მეორე ნაწილი javascript ფრეიმვორკებთან და მონაცემთა ბაზა MangoDB-სთან დაკავშირებით თვითონ ინსტიტუცია არ იზიარებს რეკომენდაციის აღნიშნულ ნაწილს და არ არის შესრულებული, რადგან მიზანში საუბარია, რომ სტუდენტებს ეცოდინებათ ვებ პროგრამირება და HTML/CSS ორი სალექციო კვირა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სრულყოფილად შეისწავლონ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელი, ერეკლე მაღრაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა შეფასებისა და რეკომენდაციებისათვის. მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია HTML/CSS-თან დაკავშირებით და დაამატეს ერთი სალექციო/პრაქტიკული მეცადინეობის კვირა, საბოლოო ჯამში ეთმობა 2 კვირა HTML/CSS თემატიკას, რაც არ არის ვებ დაპროგრამების ტექნოლოგია, კურსს ჰქვია ვებ დაპროგრამება, HTML/CSS არის დიზაინის ტექნოლოგიები, თუ კი იქნებოდა საგანი ვებ დიზაინები ამ შემთხვევაში ნამდვილად სამართლიანად საჭირო იქნებოდა მეტი სალექციო საათების გამოყოფა აღნიშნულ თემატიკაზე, მაგრამ ვინაიდან ეს არის ორიენტირებული პროგრამირებაზე გადაწყვიტეს აქცენტი გაეკეთებინათ პროგრამირების ტექნოლოგიებზე და ორი კვირის განმავლობაში სტუდენტებს აძლევენ საკმარის ცოდნას დიზაინის მხრივ, რომ მათ შეძლონ მარტივი ფორმების შექმნა, რასაც შემდეგ მიბამენ პროგრამირების კომპონენტს.

javascript-სა და MangoDB-ის შესახებ მან განაცხადა, რომ javascript ფრეიმვორკებს ისწავლებს მეშვიდე, მერვე, მეცხრე კვირებში, მეთერთმეტე კვირებში არის პრაქტიკული სამუშაოები დათმობილი MangoDB-თან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლები თვლიან, რომ ეს საკმარისია და რეკომენდაციაში კონკრეტულად არ წერია თუ რამდენი საათი უნდა ყოფილიყო დათმობილი. მისი თქმით ასევე აქვთ საგანი, სადაც ასწავლიან ანალიტიკასა და დიდი მონაცემებს ანალიტიკაში, სტუდენტებს აქვთ საშუალება ჩაუღრმავდნენ MangoDB-ის მსგავს მონაცემთა ბაზების ტექნოლოგიებს და უფრო სიღრმისეულად გაეცნონ MangoDB-საც, დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, ვინაიდან საგანი არის ვებ პროგრამირება აქცენტი გაკეთდა პროგრამირებაზე და არა დიზაინზე, რასაც გულისხმობს HTML/CSS და ნაწილი javascript ფრეიმვორკებთან და მონაცემთა ბაზა MangoDB, ჩათვალეს, რომ საკმარისი რაოდენობის სალექციო საათები აქვს და მეტის საჭიროება არ არის, ვინაიდან სხვა არჩევით კურსებშიც არის ტექნოლოგიებზე ჩაღრმავების საშუალება.

ექსპერტმა, ნანი არაბულმა განაცხადა, რომ MangoDB-ს არჩევით საგნად ასწავლიან, მაშინ, რომ დაისვა საკითხი, MangoDB აქვთ არჩევით საგნად, შესაბამისად იყო პერიოდი, რომ წინაპირობად ჰქონოდა ამ საგანს, მაგრამ თუ ვინმე ვერ აირჩევდა ძნელი იქნებოდა იქ გარკვეული საკითხების ცოდნა, სწორედ ამიტომ იყო MangoDB-თან დაკავშირებული ჩანაწერი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რაც შეეხება ვებ პროგრამირების ტექნოლოგიებს, შეიძლება ყოფილიყო საუბარი, რომ HTML/CSS საკმარისი იყო, იქ უბრალოდ შედეგებშიც და მიზანშიც წერია, რომ ეცოდინებათ კოდების გაშიფვრა, HTML/CSS-თან მუშაობა და ა.შ., მისთვის უცნობია ორ სასწავლო კვირაში როგორ მოახერხებენ ამის შესწავლას, თან იმ ლიტერატურიდან გამომდინარეც, რომელიც მითითებულია.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ მსჯელობა ამასთან დაკავშირებით და მას შემდეგ კიდევ გადაამოწმეს რა წილი ეთმობა ამ

თემატიკას წამყვან უნივერსიტეტებში, იქაც არის Stanford, MIT, სადაც ისწავლება ეს ტექნოლოგიები ორი-სამი სასწავლო კვირა ეთმობა, მათ შორის პრაქტიკული და სალექციო საათები, აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ აქცენტი გაკეთდეს სრულყოფილი, გამართული დიზაინერული პროექტის შექმნაზე, საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ საჭირო ფუნქციონალური კომპონენტები მიეცეს სტუდენტს, რომლის დახმარებითაც შეძლებს ვებ პროგრამირების მიბმას ამ ყველაფერთან, ამიტომაც დაუთმეს მეტი დრო პროგრამირებას.
MangoDB-თან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ არის არჩევითი საგანი, სადაც ისწავლება მონაცემების ტექნოლოგიები, რომელშიც იგულისხმება, რომ სტუდენტს გააჩნია, გარკვეული საბაზისო ცოდნა, თუმცა არ არის შემზღუდავი და არ გადიან ისეთ დონეზე, რომ წინაპირობამ დაბლოკოს სტუდენტის მიერ ცოდნის მიღება, სადაც ვერ ხედავენ ვერანაირ ბარიერსა თუ შეზღუდვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ წამყვანი უნივერისტეტები, რომლებზეც პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა, გასაგებია, რომ იქაც ეთმობა 2-3 კვირა, დაინტერესდა მათი უნივერსიტეტის სტუდენტის იმ წამყვანი უნივერსიტეტის მომზადების ფორმალური დონე არის თუ არა ერთიდაიგივე. გასაგებია, Stanford-ში როგორი მომზადებული სტუდენტი მივიდა, ამაზე არ არის საუბარი, მაგრამ შემდეგ რაც ისწავლა 1 წელი ან წელიწად ნახევარი რაც ისწავლა განსახილველ პროგრამაზე, ფორმალურად ერთიდაიგივე საშუალო ნიშნულზე გავიდნენ თუ არა, რადგან ითქვა, რომ თუ იქ ეყო ორი კვირა აღნიშნულ პროგრამაზეც ეყოფა.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ საერთაშორისო გამოცდილება იქნა გაზიარებული სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერისტეტიდან და ზოგადად ეს პროგრამა არის ჩართული ABT აკრედიტაციის პროცესში, პირობები საკმაოდ კარგია, რაც დაადასტურეს ABT-ის ექსპერტებმა და შეაფასეს, როგორც ლაბორატორიები, ისე სამუშაო ოთახები, საშუალებები და მასალები, რასაც აწვდიან სტუდენტებს და შეიძლება ითქვას, რომ ადეკვატურია არის მოთხოვნებთან, შესაძლებელია Stanford-ისა და MIT-ის მასშტაბზე ვერ გადიან, მაგრამ ABT-ის სტანდარტებთან შესაბამისობაში ნამდვილად არის ყველაფერი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა უკვე გაიარეს ABT აკრედიტაცია, თუ პროცესში არიან.
პროგრამის ხელმძღვანელმა განცხადა, რომ ეს არის პროცესი, რომელიც გაგრძელდება მანამ, სანამ არ ეყოლებათ პირველი კურსდამთავრებული.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ვახტანგ ბალავაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. ABT-ის შესახებ მან განაცხადა, რომ მათ წარდგენილი აქვთ ოთხი პროგრამა კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება და სამოქალაქო ინჟინერია, რომელიც სხვადასხვა ეტაპზეა და სანამ პროგრამას არ ეყოლება პირველი კურსდამთავრებული, მანამდე ABT აკრედიტაცია შეუძლებელია, შესაბამისად დაწესებულებამ განახორციელა პირველადი რევიზია მათი პროგრამების, სადაც მიიღეს თანხმობა, რომ აღნიშნული პროგრამები თავისი სტრუქტურით შეესაბამება ABT-ის მოთხოვნებს.
საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის მიერ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ პროგრამას აქვს ისეთი წინაპირობა, რომ სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა კურსის დაძლევის, მათემატიკის ისეთ დონეს ითხოვენ, რომ ჰქონდეს მაღალი ცოდნა, თუმცა მან იკითხა, ამ კურსამდე როდესაც მივა, რა გზაც უნდა გაიაროს აქვს თუ არა შესაბამისი ცოდნა, რაც იქ ექნება ამ კონკრეტული პროგრამის ათვისების, მან აღნიშნა, რომ მათი პროგრამაც, არ აქვს მნიშვნელობა Stanford იქნება თუ MIT, რომელიც საინჟინრო პროგრამაა უმრავლესობა ამერიკაში არის ABT აკრედიტებული, რაც ძირითადი მოთხოვნაა, განსახილველი პროგრამის სტრუქტურაც ასეა აწყობილი, დანარჩენი სტუდენტებზეა დამოკიდებული.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა არის თუ არა ფორმალურად იგივე მოთხოვნები, სტუდენტმა ისწავლა თუ არა ეს სხვა საკითხია.
პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, გარდა იმისა, რომ არის მოთხოვნები, არის ძალიან ბევრი პარალელური ხელშემწყობი აქტივობა, მაგ., კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამის

ფარგლებში, როგორიცაა პროგრამირების კლუბი, სხვადასხვა აქტივობები, რომლებშიც რთავენ სტუდენტებს რათა მიეცეთ სტიმული ჩაერთონ სასწავლო და კვლევით პროცესებში, რაც აძლევთ იმის იმედს, რომ ყველანაირად ხელს შეუწყობენ მათ შეძლონ მაღალ ნიშნულზე გასვლა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 21:23
დასრულების დრო: 21:27

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 15 ივნისის 21:30 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ